

განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში

სალომე მეხუზლა და ეიდინ როშე

ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 46

სექტემბერი 2009

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)
ECMI სათავო ოფისი: Sifbriuke 12 (kompagnietor) D-24939 ფლენსბურგი, გერმანია
ტელ: +49-(0) 461-14 14 9-0 ფაქსი +49-(0) 461-14 14 9-19 ვებგვერდი: <http://www.ecmi.de>
ECMI-ის სამუშაო მოხსენება # 46

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)
დირექტორი: დოქტორი ტოვ ჰ. მალი

საავტორო უფლებები 2009 წლისთვის ეკუთვნის უმცირესობათა საკითხების
ევროპულ ცენტრს (ECMI)
გამოქვეყნებულია 2009 წლის სექტემბერში უმცირესობათა საკითხების
ევროპული ცენტრის მიერ (ECMI)

ISSN: 1435-9812

სარჩევი

I. შესავალი	4
II. ზოგადი განათლება	10
1. ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა.....	10
1.1 სკოლებში არსებული პირობები და საგანმანათლებლო რესურსები	12
2. ქართული ენის სწავლება არაქართულენოვან სკოლებში.....	13
2.1 ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელოები	15
2.2. ქართული ენის მასწავლებლების მომზადება.....	16
2.3. მრავალენოვანი განათლება: ალტერნატიული გამოსავალი?.....	22
3. სახელმძღვანელოები და ეროვნული სასწავლო გეგმა.....	26
4. უმცირესობებისთვის სპეციალური საგნების სწავლება.....	32
5. სკოლამდელი განათლება.....	36
6. სკოლების მართვა	38
6.1. სკოლის დირექტორობის კანდიდატთა და მასწავლებელთა ტესტირება	43
III. უმაღლესი განათლება.....	50
1.ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ).....	50
1.1 2005 წლის ეეგ.....	51
1.2 2006 წლის ეეგ.....	52
1.3 2007 წლის ეეგ.....	54
1.4 2008 წლის ეეგ.....	56
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.....	61
IV. დასკვნა	70

I. შესავალი

2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა საქართველოს ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამ რეფორმებმა უდავოდ გავლენა იქონია ეროვნულ უმცირესობებზე, განსაკუთრებით ახალ ენისა და საგანმანათლებლო პოლიტიკასთან მიმართებაში.

საქართველოს მთავრობის ენისა და საგანმანათლებლო პოლიტიკა ორი ძირითადი მიმართულებით გამოირჩევა: ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, უმცირესობათა ენების დაცვა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობასა და უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების უფლებას უზრუნველყოფს, არსებული საკანონმდებლო ბაზა სახელმწიფო ენის გამოყენების თაობაზე გარკვეულწილად აფერხებს ეროვნულ უმცირესობათა მიერ ამ უფლებებით სარგებლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმების უარყოფითი გავლენა ეროვნულ უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე, რაც ძირითადად გამოწვეულია ქართული ენის ცოდნის აუცილებლობით. ეს მოთხოვნა საგანმანათლებლო სექტორის სხვა ასპექტებზეც ახდენს გავლენას, როგორცაა მაგალითად მასწავლებელთა გადამზადება და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, ქართული ენის ცოდნა საგანმანათლებლო რეფორმის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა სრული და ეფექტიანი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარ მიმართულებად არის აღიარებული, რაც განსაკუთრებით ცალკეულ რეგიონებში კომპაქტურად დასახლებულ უმცირესობებს ეხება.

საქართველო მრავალენოვანი და მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის დაახლოებით ცამეტი პროცენტისათვის ქართული მშობლიურ ენას არ წარმოადგენს.¹ კერძოდ, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი შესაბამისად სომხებითა და აზერბაიჯანელებით არის დასახლებული, რომელთა უმრავლესობაც ქართულ ენას ძალიან ცუდად ფლობს. უკანასკნელი გარემოება ამ უმცირესობათა ჯგუფების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას აფერხებს და ასევე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ცხრილი 1: საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა²

ეთნიკური წარმოშობა	1979 წლის აღწერა		1989 წლის აღწერა		2002 წლის აღწერა	
ქართველი	68.8%	3,465,447	70.1%	3,815,787	83.8%	3,661,173
აზერბაიჯანელი	5.1%	256,886	5.7%	310,271	6.5%	284,761
სომეხი	9.0%	453,329	8.1%	440,912	5.7%	248,929
რუსი	7.4%	372,737	6.3%	342,932	1.5%	67,671
ქურთი/იეზიდი	0.5%	25,185	0.6%	32,661	0.4%	18,329
ოსი	3.2%	161,184	3.0%	163,300	0.9%	38,028
ბერძენი	1.9%	95,703	1.9%	103,424	0.3%	15,166
უკრაინელი	0.9%	45,333	1.0%	54,433	0.2%	7,039
აფხაზი	1.7%	85,629	1.8%	97,980	0.1%	3,527
ქისტი	---	---	0.1%	5,443	0.2%	7,110
ებრაელი	0.6%	30,222	0.5%	27,216	0.1%	4,372
სხვა	0.9%	45,332	0.9%	48,990	0.3%	15,430
სულ	100%	5,036,987	100%	5,443,349	100%	4,371,535

¹ კარინ ბახმანი (რედ.), *ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალეთნიკურ საზოგადოებებში* [Language Policies and Education in Multiethnic Societies] (CIMERA Publications, Geneva, 2006), გვ. 7.

² აღნიშნული მონაცემების წყაროებია: საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1979 და 1989 წლების აღწერის შედეგები საქართველოს რესპუბლიკაში; საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. http://www.hist.umn.edu/~rmccaa/ipums-europe/enumeration_forms.shtml.htm.

საბჭოთა პერიოდში რუსული ერთადერთი ოფიციალური ადმინისტრაციული ენა და ე. წ. *ლინგუა ფრანკა* იყო საქართველოში ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში. მაშინ როცა ეროვნული უმცირესობებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშვეობით მათი მშობლიური ენების გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. ამგვარი პოლიტიკა განსაკუთრებით 1950-იანი წლებიდან ტარდებოდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისათვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა, რადგან რუსული უმრავლესობისა და უმცირესობათა ურთიერთობებში გამაერთიანებელი ენის ფუნქციას ასრულებდა. ზოგადი დაწყებითი, და საშუალო განათლება უმცირესობათა ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება ქართულად მიმდინარეობდა, რომელიც ასევე რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენა იყო იმ დროსაც, საქართველოს სსრკ-ის ზემოთხსენებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში რუსულენოვანი სექტორებიც ფუნქციონირებდა. რის გამოც, საბჭოთა კავშირის დაშლისას ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალიან დაბალ დონეზე თუკი საერთოდ ფლობდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მათ, ვინც ცხოვრობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.

მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საშუალო განათლების უმცირესობათა ენებზე უზრუნველყოფამ მათი ენებისა და კულტურის შენარჩუნებასა და განვითარებას ხელი შეუწყო, ამ გარემოებამ ასევე გარკვეულწილად საზოგადოების ეთნიკური და ენობრივი ნიშნით დაყოფა განაპირობა. ასეთი იყო ვითარება განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, სადაც ეთნიკურ საფუძველზე დაძაბულობას წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა ლიდერებმა, გამსახურდიამ და შევარდნაძემ, ეროვნულ უმცირესობათა წინაშე არსებული პრობლემები მეტწილად

უფულებელყვეს. გამსახურდიას მმართველობა ეთნოცენტრული ხასიათითაც კი გამოირჩეოდა, რომლის შედეგაც ეროვნული უმცირესობებისათვის არახელსაყრელი და დისკრიმინაციული პოლიტიკა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პოლიტიკა შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში არ ტარდებოდა, ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშესაწყობად და ამ პრობლემისაგან განუყოფელი ენობრივი ბარიერის გადასალახავად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იდგმებოდა. ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო სტრატეგია ან პოლიტიკა ამ პერიოდში არ შემუშავებულა, მაშინ როცა ერთადერთი მცდელობა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონმდებლობის შექმნისა, რომელიც 1996 წელს ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ კანონის მიღების მცდელობით გამოიხატა, წარუმატებლობით დასრულდა.³ შედეგად, ეროვნული უმცირესობები მეტწილად მარგინალიზებულნი იყვნენ ქართული საზოგადოებისაგან და ქართული ენის სწავლებას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. დღეს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ეროვნულ უმცირესობათა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

ცხრილი 2: ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქართული ენის ცოდნა⁴

ეროვნული უმცირესობა	თბილისი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი
სომეხი	96.4%	24.6%	---
აზერბაიჯანელი	95.6%	---	16.9%

სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომეხები ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის 94%-ს, ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობის 95%-სა და ახალციხის რაიონის 34%-ს

³ ლოუელ ვ. ბარინგტონი (რედ.), *დამოუკიდებლობის შემდეგ: ერის ფორმირება და დაცვა პოსტკოლონიალურ და პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში* [After Independence: Making and Protecting the nation in Postcolonial and Postcommunist States] (University of Michigan Press, Michigan, 2006), გვ. 259.

⁴ საქართველოს გაეროს ასოციაცია, *ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება* [“National Integration and Tolerance in Georgia Assessment Survey Report”] (October 2008), გვ. 36
<http://www.una.ge/eng/artdetail.php?id=74&group=documents>.

შეადგენენ.⁵ ქვემო ქართლი კი ეთნიკური აზერბაიჯანელების მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა, რომლებიც მარნეულის რაიონის მოსახლეობის 83%-ს, ბოლნისის - 66%-სა და დმანისის რაიონის მოსახლეობის 67%-ს შეადგენენ.⁶ ორივე რეგიონისათვის მსგავსი პრობლემებია დამახასიათებელი, როგორცაა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ასევე მცირე ეკონომიკური შესაძლებლობები და ეროვნული საინფორმაციო საშუალებების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. პირველი ორი ფაქტორი საქართველოს რეგიონების უმრავლესობას ახასიათებს, ხოლო უკანასკნელი ორი ძირითადად ქართული ენის ცოდნის დაბალი დონითაა განპირობებული. შესაბამისად, ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები ინფორმაციას მეტწილად თავიანთი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისა და რუსეთის ფედერაციის ტელე-არხებიდან იღებენ, რაც მათ ქართული საზოგადოებისაგან კიდევ უფრო აუცხოვებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა დანარჩენი საზოგადოებისაგან გარკვეულწილად იზოლირებულია, ეს პრობლემა განსაკუთრებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონის მცხოვრებლებს აწუხებს, რომელსაც განაპირობებს ენობრივი ბარიერი, ეროვნულ უმცირესობათა მჭიდროდ განსახლება და ძლიერი კავშირები მათი წარმოშობის ქვეყანასთან - სომხეთთან.

აცნობიერებს რა განათლების სისტემაში ენის პოლიტიკის, როგორც უმცირესობათა ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტის, მნიშვნელობას, 2003-2004 წლებში რეჟიმის შეცვლის შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებსა და პოლიტიკურ რეფორმებს ახორციელებს. გარდა ამისა, მიღწევებისა და წარუმატებლობების მიმდინარე

⁵ ჯონათან უითლი, ჯავახეთის მხარის რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები [Obstacles Impeding the Regional Development of the Javakheti Region in Georgia], ECMI-ის სამუშაო მოხსენება №22, 2004, გვ. 5.

⁶ ჯონათან უითლი, ქვემო ქართლის მხარის რეგიონული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორები [Obstacles Impeding the Regional Development of the Kvemo Kartli Region in Georgia], ECMI-ის სამუშაო მოხსენება №23, 2005, გვ. 6.

ანალიზის საფუძველზე იგი ამ რეფორმებს სისტემატურად ცვლის და აუმჯობესებს. შედეგად, საქართველოს მთავრობამ ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც 2009 წლის მაისიდან ხორციელდება. ეს კონცეფცია ეროვნული უმცირესობათა განათლების გაუმჯობესების ექვს ძირითად მიმართულებას შეიცავს: ეროვნული უმცირესობებისათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა; ეროვნული უმცირესობებისათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა; ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა; ეროვნულ უმცირესობებთან შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება; და ასევე ზრდასრულთა განათლების პროგრამებისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. წინამდებარე მოხსენება დღემდე გატარებულ საგანმანათლებლო რეფორმებსა და მათ ეროვნულ უმცირესობებზე ზეგავლენას აანალიზებს. გარდა ამისა იგი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნულ უმცირესობათა განათლებასთან დაკავშირებით შემუშავებული მომავალი პოლიტიკისათვის რეკომენდაციებს შეიცავს. საქართველოში სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობის მრავალრიცხოვნებისა და სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მათი მაღალი კონცენტრაციის გამო, ეს კვლევა ძირითადად ზემოთხსენებული უმცირესობების ჯგუფებსა და რეგიონებს ეხება.

წინამდებარე სამუშაო მოხსენება ორ ძირითად ნაწილადაა გაყოფილი, რომლებიც შესაბამისად ზოგად და უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. ამ ორი ნაწილის ფარგლებში მთელი რიგი საკითხები არის შესწავლილი, როგორცაა არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ახლადმიღებული კანონმდებლობით გამოწვეული პრობლემები, კერძოდ, მასწავლებელთა გადამზადების ინიციატივებსა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფასთან მიმართებაში. სკოლების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ფინანსების მართვისა და სკოლის დირექტორობის კანდიდატებისა და

მასწავლებლების ტესტირებას მოიცავს, ეროვნულ უმცირესობებზე მათ გავლენასთან მიმართებაში არის განხილული. ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეეგ) შემოღება და მათი ჩატარების წესის შემდგომი შეცვლა, კერძოდ კი ამ რეფორმის, განსაკუთრებით ქართული ენის გამოცდის, გავლენა ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე მოხსენების მეორე ნაწილში საფუძვლიანადაა შესწავლილი. ეს თავი ამ რეფორმის როგორც დადებით ისე უარყოფით შედეგებს იხილავს. ბოლოს, ეროვნული უმცირესობების განათლებისათვის მნიშვნელობის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია აღწერილი. გარდა ამისა, წინამდებარე მოხსენების ყოველი თავი შეიცავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევის, კერძოდ კი საკანონმდებლო და პოლიტიკის მიმართულებების, ანალიზს, ასევე რეკომენდაციებს ალტერნატიული მიდგომებისა და მომავალი ღონისძიებების თაობაზე. უკანასკნელი რეკომენდაციები ეხება სკოლამდელ და საშუალო განათლებაში ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების მოდელების დანერგვას, ასევე დამატებითი უფლებების მინიჭების პოლიტიკასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისას სახელმწიფო ენის გამარტივებული გამოცდის შემოღებას.

II. ზოგადი განათლება

1. ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სწავლების ენას საქართველოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული წარმოადგენს.⁷ თუმცა, ეროვნულ უმცირესობებს ზოგადი დაწყებითი, და საშუალო

⁷ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005 წლის 8 აპრილი, http://www.reform.edu.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=200&info_id=73.

განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება აქვთ.⁸ 2008 წლის მონაცემებით, არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა საერთო რიცხვის 8.79%-ს შეადგენს.⁹

დღეისათვის უამრავი არაქართულენოვანი სკოლა და ქართულენოვან სკოლებში არაქართულენოვანი სექტორი (შერეული სკოლები) ფუნქციონირებს, თუმცა მათმა რიცხვმა უკანასკნელი წლების განმავლობაში იკლო. 2006 წელს, 456 არაქართულენოვანი სკოლა ფუნქციონირებდა არაქართულენოვანი სექტორების ჩათვლით, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან მიღებული უახლესი მონაცემების თანახმად, მათი რაოდენობა 408-მდე შემცირდა (იხილეთ წინამდებარე ცხრილი), რომელთაგანაც 234 არის ერთენოვანი.

ცხრილი 3: არაქართულენოვანი სკოლები¹⁰

სკოლები სწავლების ენის მიხედვით	ერთენოვანი	შერეული სკოლები
აზერბაიჯანულენოვანი	97	124
სომხურენოვანი	121	140
რუსულენოვანი	15	141
უკრაინულენოვანი	1	0
ოსურენოვანი	0	3
სულ	234	408

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საჯარო სკოლების რიცხვის შემცირება ქართულენოვან სკოლებსაც შეეხო ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა მცირერიცხოვნებით გამორჩეული სკოლები სხვა სკოლებთან იქნა გაერთიანებული.¹¹

⁸ მე-4 მუხლის მესამე პუნქტი, მე-7 და მე-9 მუხლები, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

⁹ შალვა ტაბატაძე და ნათია ნაცვლიშვილი, *ინტერკულტურული განათლება*, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ., გვ. 13.

¹⁰ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტოს საბჭო, *ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია (მე-2 გამოცემა)*, 2008 წ. 1 ნოემბერი, გვ. 9. ინფორმაცია ოსურენოვან სექტორებზე ECMI-ის გამოთვლებს ეყრდნობა.

¹¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №596 სსიპ

1.1 სკოლებში არსებული პრობემები და საგანმანათლებლო რესურსები

რაიონების არაქართულენოვანი სკოლები ქვეყნის სხვა მაღალმთიანი რეგიონების სკოლებისათვის დამახასიათებელი მსგავსი პრობლემებით გამოირჩევიან, კერძოდ სკოლის შენობების დიდი ნაწილი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. გარდა ამისა, სხვადასხვა რესურსები და აღჭურვილობა, როგორცაა სასწავლო მასალა და კომპიუტერული ტექნიკა, რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალაქის სკოლებთან შედარებით საგრძნობლად მცირე რაოდენობით არის.

პროგრამა 'ირმის ნახტომის' ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საქართველოს საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვის პროცესი დაიწყო, რომლის მიზანია ყოველ 22 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერის უზრუნველყოფა. ეს პროექტი საჯარო სკოლებში თანამდეროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლისა და მათი გამოყენების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.¹² 2009 წლის მაისიდან, სამცხე-ჯავახეთის მხარის ახალქალაქის რაიონის სკოლებში ყოველი ოცი მოსწავლისათვის ერთი კომპიუტერია უზრუნველყოფილი და, არსებული ინფორმაციით, 2009 წლის ბოლომდე ამ სკოლებში ინტერნეტით სარგებლობა იქნება შესაძლებელი. 2005-2008 წლების განმავლობაში, სულ 140

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმიზაციის საკითხებზე კომისიის შექმნის თაობაზე, 2005 წლის 2 ნოემბერი. ბრძანების თანახმად, სკოლების ოპტიმიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე ხდება: მოსწავლეთა რაოდენობა; ერთზე მეტი სკოლის განლაგება ერთ შენობაში, ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე; სკოლის შენობების მდგომარეობა (ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების რაოდენობა და სხვა); სკოლის შენობების მოცულობა. სკოლების ოპტიმიზაციის წინააღმდეგ შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება: გეოგრაფიული და კლიმატური პრობემები; გასაერთიანებელ სკოლებს შორის დაშორება (დაშორება ოპტიმალური უნდა იყოს, ფეხით სავალ მანძილზე); სკოლების გაერთიანების შედეგად მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან მაღალი არ უნდა გახდეს (რამაც შესაძლოა მენეჯმენტის თვალსაზრისით პრობლემები გამოიწვიოს); მოსწავლეთა მცირე რაოდენობის სკოლის სპონსორი ორგანიზაციის ან სხვა მუდმივი დაფინანსების წყაროს არსებობის შემთხვევაში (როგორცაა, მაგალითად: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საერთაშორისო დონორები, და სხვა); თუ სკოლები გაერთიანების საწინააღმდეგოდ საფუძვლიან არგუმენტებს წარმოადგენენ; ოთხი ან მეტი სკოლის გაერთიანება; საპილოტე სკოლების გაერთიანება.

¹² იხ. http://www.mes.gov.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=34&id=1000.

სომხურენოვან სკოლას გადაეცა კომპიუტერები და 120-მა აზერბაიჯანულენოვანმა სკოლამ მიიღო 1,299 კომპიუტერი.¹³ მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა დიდი ნაწილის განცხადებით ეს კომპიუტერები მეტწილად არ გამოიყენება, ვინაიდან მასწავლებლებმა მათი გამოყენება არ იციან და იმის გამო, რომ ტექნიკა ძვირადღირებულია მოსწავლეების მიერ მათი რეგულარულად გამოყენებაც იკრძალება. შესაბამისად, აუცილებელია რეგიონის სკოლების მასწავლებლებისათვის კომპიუტერული უნარების შესასწავლი კურსების ორგანიზება, რათა შესაძლებელი გახდეს ამ რესურსების სრული რეალიზაცია.

გარდა ამისა, დაწყებულია სკოლების უზრუნველყოფა შესაბამისი გათბობის სისტემებით, მაგ.: ახალქალაქის რაიონში 67 სკოლიდან 9 უკვე სარგებლობს ახალი გათბობის სისტემით. ახალქალაქის რაიონის ხუთი სკოლის შენობას საფუძვლიანი რემონტი უკვე ჩაუტარდა, ხოლო 2009 წლის განმავლობაში დამატებით თოთხმეტი სკოლის შენობის აღდგენა იგეგმება. 2006-2008 წლების მანძილზე სულ 21 აზერბაიჯანულენოვანი და 15 სომხურენოვანი სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა.¹⁴

2. ქართული ენის სწავლება არაქართულენოვან სკოლებში

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მესამე პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ზოგადი განათლების სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლება. თუმცა, იმავე კანონის სხვა დებულებები სავალდებულოს ხდის არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას და ასევე საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების

¹³ საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძის, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

¹⁴ იქვე.

გაკვეთილების ქართულ ენაზე წარმართვას. უკანასკნელი დებულება 2010 წლისათვის უნდა შევიდეს ძალაში.¹⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ითვლება, რომ სკოლის დამთავრებისას ყველა მოსწავლე ქართულს თავისუფლად უნდა ფლობდეს. ქართული ენის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება სურთ, ვინაიდან სწავლების ენას საქართველოს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები ქართულს დაბალ დონეზე ფლობენ, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ცხოვრობენ (კერძოდ, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში). ქართული ენის ცოდნის დონე საგრძნობლად განსხვავდება ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობას შორის. მაგალითად, ჯავახეთის ქალაქების, ახალქალაქისა და ნინოწმინდის, სკოლების მეცხრე და მეთე კლასის მოსწავლეები დამაკმაყოფილებენ დონეზე საუბრობენ ქართულად, თუმცა არა თავისუფლად. ხოლო რეგიონის სოფლების მოსახლეობა ერთენოვანია და მეტწილად ძალიან დაბალ დონეზე ფლობს ქართულს. უკანასკნელი ვითარება ძირითადად განპირობებულია სწავლების დაბალი ხარისხით, მასწავლებელთა შორის ქართული ენის ცოდნის ზოგადად დაბალი დონითა და, ასევე, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ე. წ. 'ქართული გარემოს' არ არსებობით.

ქართული სოციალურ-კულტურული გარემოს ნაკლებობა რეგიონებში კიდევ უფრო აშორებს ეთნიკურ სომხებსა და აზერბაიჯანელებს თავიანთი თანამოქალაქეებისაგან. ამ პრობლემის მოგვარებას, ალბათ, ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში კულტურული გაცვლითი პროგრამების ორგანიზება. მსგავსი პროგრამები წარმატებული იყო კანადაში, რომლებიც

¹⁵ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

ფრანგულენოვანი კვებეკელების კულტურისა და ენის ინგლისურენოვანი მოსახლეობისათვის გაცნობას ემსახურებოდნენ და პირიქით. ამდაგვარი ინციატივები მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მოსწავლეებს უკეთ გაცნობოდნენ უმცირესობათა და უმრავლესობის ენასა და კულტურას, რაც თავის მხრივ დააჩქარებდა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის 2008 წლის 22 დეკემბრის გამოსვლაში ისაუბრა გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობასა და სარგებლობაზე და მოუწოდა სახელმწიფო სტრუქტურებს ხელი შეუწყონ მსგავსი პროექტების მომავალში განხორციელებას.¹⁶ რა სახით და როდის განხორციელდება ეს გეგმები ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა პრეზიდენტის ამგვარი გამოსვლა უდავოდ მისასალმებელია.

2.1 ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელოები

არაქართულენოვან საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით 2005 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეადგინა ახალი სახელმძღვანელო ქართულის, როგორც მეორე ენისათვის, სახელწოდებით თავთავი. 2006 წლიდან თავთავის სერიის სახელმძღვანელოები მეშვიდე, მერვე და მეცხრე კლასების მოსწავლეებს უფასოდ ურიგდება. გარდა ამისა, დაგეგმილია ორი დამატებითი დონის სახელმძღვანელოს 2009 წელს გამოცემა.¹⁷ თუმცა, ვინაიდან თავთავის სახელმძღვანელოები შედგენილია არა კონკრეტული კლასებისათვის არამედ ცოდნის დონის მიხედვით, არსებული სამი სახელმძღვანელო დღეისათვის მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაცხადა, რომ თავთავის სერია ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს შეესაბამება, სახელმძღვანელო გააკრიტიკეს სწავლების ერთენოვანი მიდგომის გამო,

¹⁶ „საკაშვილი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ინტეგრაციაზე საუბრობს“, სივილ ჯორჯია, თბილისი, 22 დეკემბერი, 2008 წ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=20170>.

¹⁷ იუნესკო, *საქართველოს ანგარიში მულტილინგვალიზმისა და კიბერსივრცის გამოყენების შესახებ* [Report of Georgia on the Promotion and Use of Multilingualism and Universal Access to Cyberspace]

რომელიც ეწინააღმდეგება მრავალენოვალ მეთოდს.¹⁸ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავთავი ქართულის როგორც მეორე ენის პირველი სახელმძღვანელოა და მისი შექმნა მისასაღმებელია, როგორც შენამენი სკოლების სასწავლო რესურსებისათვის. შესაბამისად, საქართველოში ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის წარმომადგენელმა და ჯავახეთის ენის სახლების მასწავლებლებმა, სადაც საჯარო მოხელბსა და აბიტურიენტებს ასწავლიან ქართულს, არაერთხელ ისაუბრეს თავთავის გამოცემის წარმატებაზე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სამინისტრომ ახალქალაქის რაიონის სკოლები თავთავის 10,000 ეგზემპლარით უზრუნველყო, რაც ქვემოთ განხილული თარგმნილი სახელმძღვანელობისაგან განსხვავებით, სრულიად საკმარისია და შეესაბამება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობას.

2.2. ქართული ენის მასწავლებლების მომზადება

2004-2006 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვემო ქართლში 27 და სამცხე-ჯავახეთში 13 ქართული ენის მასწავლებელი მიავლინა, რომელთაც მიიღეს მაღალი ანაზღაურება 'მომავალი იწყება დღეს' პროგრამის ფარგლებში. ეს პედაგოგები ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას და ისტორიას, ასევე ადგილობრივ მასწავლებლებს ტრენინგს უტარებდნენ. შედეგად, ადგილობრივ მასწავლებლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ სწავლების ახალ მეთოდებს, რაც ამ ინიციატივის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმცირესობებით დასახლებული რეგიონების პედაგოგთა დაახლოებით 90%-ს სწავლების ახალ მეთოდებში გადამზადება არ გაუვლია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.¹⁹

(2008), <http://portal.unesco.org/ci/en/files/26049/12041269863GEORGIE.pdf/GEORGIE.pdf>.

¹⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, *განათლების გავლენა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციაზე* ["Education's Impact upon the Integration of National Minorities"] *Georgia Today*, 1 თებერვალი, 2008 წ. http://www.georgiatoday.ge/article_details.php?id=4344.

¹⁹ ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესთან, ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის თბილისის ოფისი, 12 დეკემბერი, 2008 წ..

მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა ოთხ ეტაპად განხორციელდა და თოთოეული სესია მოიცავდა შვიდდღიან ტრენინგს (დღეში ექვსი საათი). მასწავლებელთა აზრით აღნიშნული ინტენსიური პროგრამა ძალიან სასარგებლო იყო და მათი ქართული ენის ცოდნის დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა, ეუთო-ს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის (ეუუკ) მიერ ქვემო ქართლში განხორციელებული პროგრამის შეფასების ანგარიშის თანახმად, 420 მასწავლებლიდან სულ ცოტა 60-70 საერთოდ არ ფლობდა ქართულ ენას, მეტწილად ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები. რის გამოც პედაგოგთა ნაწილმა ზემოაღნიშნულ გადამზადების პროგრამაში მოანაწილეობის მიღება ვერ შეძლო.²⁰ ეს გარემოება მთავრობის მიერ გათვალისწინებული არ იყო და გასაკვირი არ არის, რომ ეს ძალისხმევა არ იყო საკმარისი ქართული ენის სწავლების ხარისხის სათანადოდ გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა უდავოდ გაიღრმავეს ქართული ენის ცოდნა, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ECMI) მიერ ახალქალაქის რაიონში გამოკითხული გამსწავლებლები უკეთეს შემთხვევაში საშუალო დონეზე ფლობდნენ ქართულს.²¹

ზემოაღნიშნულ პრობლემებს ემატება რეგიონების მასწავლებელთა სკეპტიციზმი მსგავსი პროგრამების მიმართ. საქართველოს ქალაქებიდან რაიონების სკოლებში სასწავლებლად ჩასულ პედაგოგებს ადგილობრივი მოსახლეობა ‘მისიონერებს’ უწოდებდა, რაც მიუთითებს ჩამოსული მასწავლებლებისადმი მათ დამოკიდებულებაზე. უფრო მეტიც, ადგილობრივი პედაგოგები უარყოფიდან იყვნენ განწყობილი სწავლების ახალი მეთოდებისა და ენის შესწავლისადმი

²⁰ ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი, *ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა: საბოლოო ანგარიში* [“**Supporting Teaching of GSL in Minority Schools in Kvemo Kartli: Final Narrative Report**”—an assessment of the 2004-2006 teacher training programme in Kvemo Kartli].

²¹ ECMI-ის თანამშრომლების ინტერვიუ ახალქალაქის რაიონის მასწავლებლებთან, 2009 წ. იანვარი.

კარიერის ამ ეტაპზე.²² გარდა ამისა, ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენლის თანახმად, ზოგიერთი მასწავლებელი იმედს იტოვებდა, რომ მომავალ წლებში დაგეგმილი მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ქრთამის მეშვეობით შეძლებდა.²³ მსგავსი დამოკიდებულება საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობად შეიძლება ჩაითვალოს და განათლების სისტემის ერთ-ერთ იმ ელემენტს წარმოადგენს, რომლის აღმოფხვრასაც ემსახურება მიმდინარე რეფორმები.

2007 წლის დასაწყისში ზემოთხსენებული 40 მასწავლებელი ადგილობრივმა კადრებმა ჩაანაცვლეს, რომელთაც წინასწარ გაიარეს გადამზადება. 2007 წელს ქვემო ქართლის 94 აზერბაიჯანულენოვანი სკოლის პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი ეუუკ-ისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების ხელშეწყობა ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში“ ფარგლებში. გარდა ამისა, იმავე წელს გადამზადებულ იქნა არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის 250 მასწავლებელი „არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადების“ პროგრამის ფარგლებში.²⁴ აღნიშნულ ძალისხმევითა მიუხედავად, რეგიონების მასწავლებელთა შორის ქართული ენის ცონდის ხარისხი საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა. კერძოდ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გამოკითხულ მასწავლებელთა 30% სასაუბრო დონეზეც კი არ ფლობს ქართულ ენას.²⁵ ეს პრობლემა ძირითადად განპირობებულია

²² ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრა ევროპის საბჭოს საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის თემაზე, ახალქალაქი, 2008 წლის 10 დეკემბერი.

²³ იქვე.

²⁴ საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

²⁵ აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისაგან, 2009 წლის ივლისი.

გადამზადების პროგრამების სიმცირითა და მათი მოკლე ხანგრძლივობით, ასევე იმ გარემოებით, რომ ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მოსახლეობას ქართული ენის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს.

შესაბამისად, ამ პროცესში ჩართული ყველა მხარე აღიარებს მასწავლებელთა გადამზადების დამატებითი პროგრამების აუცილებლობას. შედეგად იგეგმება მასწავლებელთა ტრენინგების განახლება „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ პროგრამას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ერთობლივად ახორციელებენ, რისთვისაც 326,689 ლარია გამოყოფილი.²⁶ ამჟამად ცენტრმა უკვე გამოავლინა ამ პროგრამაში მონაწილეების მიღების მსურველი პედაგოგები. ამ ინიციატივის ფარგლებში ცენტრი შერჩეულ ქართული ენის მასწავლებლებს ერთი წლის ვადით დაასაქმებს, რათა მათ ასწავლონ ქართული ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სკოლებში. აღსანიშნავია, რომ ეს კონკურსი ღია იყო ქართული ენის ყველა პედაგოგისათვის, თუმცა წარმატებული კანდიდატები შესაბამისი უმცირესობის ენას უნდა ფლობდნენ, ასევე უპირატესობა მიენიჭათ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მასწავლებლებს. კერძოდ, შერჩეულ პედაგოგთა უმრავლესობა ფლობს აზერბაიჯანულ ენას (ორის გამოკლებით). გარდა ამისა, აღნიშნულ მასწავლებლებს ტრენინგი ჩაუტარდათ წინასწარ შერჩეული ათი ტრენერის მიერ „ვისწავლოთ და ვასწავლოთ ქართული“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რისთვისაც დამატებით 100,000 იქნა გამოყოფილი. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მასწავლებლებმა სკოლების ქართული ენისა და სხვა საგნების პედაგოგებსაც უნდა

²⁶ საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

ასწავლონ ქართული.²⁷ გარდა აღნიშნული ინიციატივისა მასწავლებლების გადამზადება ხორციელდებოდა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებისა და ეუუკ-ის მიერ დაფინანსებული ინიციატივების ფარგლებში. თუმცა, 2008 აგვისტოს ომის შედეგად დაახლოებით 8,000 პედაგოგის გადამზადებისათვის გათვალისწინებული დაფინანსება საგრძნობლად შემცირდა. შესაბამისად, მომავალ წელს დაახლოებით 4,000 მასწავლებლისათვის იგეგმება ტრენინგის ჩატარება, ხოლო დანარჩენი რესურსები კონფლიქტის შედეგად დაზიანებული სკოლების აღდგენას მოხმარდება.²⁸ ვინაიდან გადამზადების პროგრამები საკმაოდ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, როგორც ფინანსურ ასევე ადამიანურ რესურსებთან, ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს სამინისტროს ინიციატივების ეფექტიანობაზე, რომელიც კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ალტერნატიულ გზებს ეძებს. დაფინანსების ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს განათლების რეფორმას როგორც ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში ისე ზოგადად.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამინისტრო ამჟამად მუშაობს ახალ პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მსურველებს შორეულ რეგიონებში გაანაწილებენ მასწავლებლებად სამუშაოდ ორი წლის ვადით. ქართულის მცოდნე პედაგოგთა რაოდენობის გაზრდის მიზნით აღნიშნული პროგრამა მოიცავს ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებისაც.²⁹ ამ მასწავლებლებს მაღალ ანაზღაურებას შესთავაზებენ სწავლებისა და მომავალში უმაღლესი განათლების გაგრძელების წახალისების მიზნით, განსაკუთრებით მასწავლებელთა გადამზადების განხრით. საწყის ეტაპზე იგეგმება დაახლოებით 50 სტუდენტის ჩართვა ამ პროექტში, რასაც დაახლოებით 200,000

²⁷ დაწვრილებითი ინფორმაცია ამ საკითხზე იხ. <http://www.tpdg.ge/index.php?page=1-2-11&hl=ge>.

²⁸ ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, ანა ჟვანიასთან, თბილისი, 16 დეკემბერი, 2008 წ.

²⁹ იქვე.

ევრო მოხმარდება.³⁰ ამ პროგრამის განხორციელება სამინისტრომ განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე გადაწყვიტა, ვინაიდან მსგავსი მოდელი წარმატებით დაინერგა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. თუმცა, ეს პროექტი ჯერ კიდევ შემუშავების სტადიაშია და მისი განხორციელება 2010 წლამდე მაინც არ დაიწყება, რაც გარკვეულწილად საერთაშორისო დონორებისაგან დაფინანსებაზეა დამოკიდებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის განხორციელებამ შესაძლოა ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მასწავლებლების უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს ქართველი პედაგოგებისადმი, რომელთაც უფრო მაღალი ანაზღაურება ექნებათ, როგორც მოხდა ადრე მსგავსი პროექტის მსვლელობისას. ანალოგიური იყო დამოკიდებულება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ადგილობრივ მასწავლებელთა მიმართაც, რომელთაც ასევე შედარებით უფრო მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ, თუმცა სხვაობა უმნიშვნელო იყო. აქედან გამომდინარე, ზემოთხსენებული პროგრამის შემდგომ ეტაპზე სასურველია არაქართულენოვანი სკოლების დამთავრებულთა წახალისება, რათა მათ ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით მიიღონ უმაღლესი განათლება. შედეგად, ეს სპეციალისტებიც შეძლებენ აღნიშნულ ინიციატივაში მონაწილეობას და შედარებით მაღალი ანაზღაურების მიღებას ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართულის სწავლებისათვის. მსგავს წამოწყებას ადგილობრივი მოსახლეობა სავარაუდოდ დადებითად შეხვდება, ვინაიდან იგი წარმოაჩენს მთავრობის სურვილს უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიკური ინტეგრაცია, ასევე ქართული ენის შესწავლის დამატებით მოტივაციას წარმოადგენს. გარდა ამისა, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ეთნიკური წარმოშობის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მისაღებად ეროვნულ უმცირესობათა მიგრაციისა და გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსების გადინების შემცირებას (იხ. ქვეთავი III.2).

³⁰ იქვე.

აუცილებელია დამატებითი ფინანსური დახმარების გაწევა არაქართულენოვანი სკოლებისათვის, რათა მასწავლებლებმა შეძლონ ეროვნული სასწავლო გეგმის, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდების მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც უფრო საფუძვლიანად მომდევნო ქვეთავებშია განხილული. ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ენის სპეციალისტების გადამზადების პროგრამების არა მარტო განახლება, არამედ მათი ხანგრძლივობის გაზრდაც, რაც უნდა აისახოს შესაბამისი სკოლებისათვის გამოყოფილ ბიუჯეტებში. გარდა ამისა, აუცილებელია რეგიონების მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისება ცნობიერების ამაღლების ინიციატივებისა და ფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით, რათა მათ პედაგოგიური განხრით მიიღონ უმაღლესი განათლება. ქართული ენის მასწავლებელთა საფუძვლიანი და ეფექტიანი გადამზადების პროგრამების ნაკლებობა არა მარტო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ეროვნული უმცირესობებისათვის ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

2.3. მრავალენოვანი განათლება: ალტერნატიული გამოსავალი?

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას ხდის სავალდებულოს არაქართულენოვან სკოლებში, არამედ ასევე 2010 წლიდან საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების ქართულ ენაზე სწავლებასაც. განათლების სფეროს ექსპერტებმა გააკრიტიკეს კანონის ეს უკანასკნელი დებულება, ვინაიდან იგი მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს. არ არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა სკოლებისათვის სადაც, სომხური და აზერბაიჯანული გამოიყენება სწავლების ენად, თუმცა ახლახან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მრავალენოვანი ან

ორენოვანი მიდგომის დანერგვის შესაძლებლობა განიხილა. უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების უფლების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, საჭიროა მრავალენოვანი ეროვნული სასწავლო გეგმის ან სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისათვის სპეციალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ზემოთხსენებული დებულება გარკვეული საგნების ქართულ ენაზე სწავლების თაობაზე შეიძლება ასევე აიხსნას როგორც საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მრავალენოვანი მიდგომის დანერგვის მცდელობა.

მრავალენოვანი განათლება სასწავლო პროცესში ორი ან მეტი ენის გამოყენებას ითვალისწინებს, რაც შედეგად მშობლიური ენის შენარჩუნებასა და იმავდროულად სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობას ქმნის. ეს მეთოდი მსოფლიოს ბევრ სხვა მრავალენოვან ქვეყანაში იქნა აპრობირებული და ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების მართვის ეფექტურ საშუალებად იქცა.

კერძოდ, შვეიცარულმა ორგანიზაციამ, CIMERA-მ, ადრე მსგავსი პროგრამა ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში განახორციელა, ხოლო 2004 წლიდან ეუთოს ეუუკის ფინანსური მხარდაჭერით ანალოგიური ინიციატივის შემუშავება საქართველოშიც დაიწყო.³¹ CIMERA 2006 წლის აპრილიდან 2008 წლის იმავე თვემდე ახორციელებდა პროექტს მრავალენოვანი განათლება საქართველოში, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარეს თორმეტი არაქართულენოვანი საჯარო სკოლის მასწავლებლებმა, კერძოდ კი სამცხე-ჯავახეთის რვა სკოლასა და ქვემო ქართლის ოთხ სკოლაში. პირველი და მეორე კლასების ქართული ენის პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგი მრავალენოვანი მიდგომის გამოყენებით. მათ ასევე დამატებითი კონსულტაციები ჩაუტარდათ და ინტერაქტიული მეთოდიკის თაობაზე სასწავლო მასალა დაურიგდათ, რომელშიც გამოყენებული იყო ჩამოთვლილ ენათაგან ორი ან

³¹ კარინ ბახმანი (რედ.), *ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვანი საზოგადოებებში* [Language Policies and Education in Multiethnic Societies], გვ. 8.

მეტი: ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული.³² სულ აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები 97 მასწავლებელი და 560 მოსწავლე იყვნენ. მშობელთა, მოსწავლეთა და პედაგოგთა თავდაპირველი სკეპტიციზმის მიუხედავად, CIMERA-ს პროექტი ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. მისი შედეგების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის მონაწილე მოსწავლეებმა ენის უნარები უფრო სწრაფად და ეფექტიანად განავითარეს ვიდრე მათ, ვინც ერთენოვანი მეთოდით სწავლობდნენ.³³ ეს მიდგომა ხელს უწყობს სახელმწიფო ენის შესწავლას მშობლიურის შენარჩუნების პარალელურად. გარდა ამისა აღნიშნული მოსწავლეები ზოგადად უფრო მოტივირებულები არიან და უფრო სწრაფად ავითრებენ სწავლებისა და კომუნიკაციის უნარებს.³⁴ აღსანიშნავია, რომ იმ სკოლების მოსწავლეები, რომლებშიც სამენოვანი მეთოდი დაინერგა, იმავე დონეზე ფლობენ მეორე ენას როგორც ორენოვანი მოდელის სკოლების მოსწავლეები, გარდა დამატებით მესამე ენის შესწავლისა.³⁵

ზემოთხსენებული საპილოტე პროგრამის წარმატების შედეგად, თორმეტი სკოლიდან ათმა მრავალენოვანი ან ორენოვანი მოდელით სწავლება განაგრძო. ამისათვის მათ დამოუკიდებლად შეძლეს საჭირო დაფინანსების მოპოვება, რაც დამატებით ამტკიცებს მათ სურვილს ამგვარი მეთოდების გამოყენებით სწავლების გაგრძელებისა. მნიშვნელოვანი მიღწევების მიუხედავად, პროექტის მსვლელობისას CIMERA-ას წარმომადგენლები ასევე დაბრკოლებებსაც წააწყდნენ, რაც ძირითადად მასწავლებლებს შორის ქართული ენის ცოდნის დაბალ დონესა და სასწავლო მასალებისა და პედაგოგთა ანაზღაურებების დასაფარად საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობაში გამოიხატა. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე ჩატარებული მასწავლებელთა ტრენინგი შედარებით დიდ

³² იხ. http://www.cimera.org/en/projects/ind_projects.htm.

³³ ლიგია გრიგულე და აურელი პერინ, *მულტილინგვური განათლება საქართველოში: შეფასების ანგარიში* [“**Multilingual Education in Georgia: Executive Summary of the Evaluation Report**”], CIMERA 2008 წ., გვ. 5, იხ. <http://www.cimera.org>.

³⁴ იქვე, გვ. 9.

დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, მრავალენოვანი სწავლების მოდელი საერთო ჯამში საკმაოდ მცირე დაფინანსებას მოითხოვს და პედაგოგთა ანაზღაურების საერთო რაოდენობას მნიშვნელოვნად არ აღემატება. გაითვალისწინა რა CIMERA-სა და ეუთოს ეუუკის რეკომენდაციები უმცირესობათა განათლების მომავალ სტრატეგიად ორენოვანი ან მრავალენოვანი მეთოდის დანერგვის თაობაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა გაეგრძელებინა CIMERA-ს ინიციატივა და მრავალენოვანი განათლების დანერგვის სტრატეგია შეიმუშავა, რომლის განხორციელებაც მომავალი წლების მანძილზე მოხდება.³⁶ კერძოდ, აღნიშნული პროგრამის განხორციელება 2009 წლის სექტემბრიდან დაიწყო საქართველოს 40 საჯარო სკოლაში, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების სკოლების ჩათვლით, რომლის ფარგლებშიც საპილოტე სკოლებში დასაქმებული 400 პედაგოგი გაივლის გადამზადებას. ამ ინიციატივის განსახორციელებლად სამინისტროს 75,000 ლარი გამოეყო და პროგრამის დადებითი შედეგებისა და წარუმატებლობების ეფექტიანი ანალიზისათვის 40 საპილოტე სკოლაში პროგრამის მსვლელობის საფუძვლიან მონიტორინგსა და შეფასებას აღნიშნული სფეროს ექსპერტები განახორციელებენ.

საქართველოს განათლების სისტემაში მრავალენოვანი მოდელის დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ნაბიჯია. როგორც აღნიშნულია იმპლემენტაციის სტრატეგიის დოკუმენტში, განათლების ეს მეთოდი კულტურათაშორის გაგებასა და ტოლერანტობას წაახალისებს, ასევე ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. მიუხედავად ამ უკანასკნელი გარემოებისა, საქართველოს კანონმდებლობა მაინც ავალდებულებს ყველა საჯარო სკოლას საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ქართულ ენაზე წარმართვას 2010 წლისათვის.³⁷ განათლების სისტემაში მრავალენოვანი მოდელის უახლოეს წლებში

³⁵ იქვე, გვ. 10.

³⁶ „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა“ (2008 წ.), გვ. 16.

³⁷ მე-5 მუხლი მეოთხე პუნქტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 8 აპრილი, 2005 წ.

წარამატებით დანერგვა იმედია გააქარწყლებს მსგავსი დებულების არსებობის საჭიროებას, ვინაიდან არქართულენოვანო სკოლებისათვის აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება ერთი წლის ვადაში ნამდვილად შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მიიღოს სათანადო ზომები საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილების შესატანად, რათა მრავალენოვანი განათლების მოდელი უფრო მკაფიოდ აისახოს ადგილობრივ კანონმდებლობაში და, შესაბამისად, მრავალენოვანი განათლების მოდელი საქართველოში განათლების სისტემის გრძელვადიან მიზნად იქცეს.

3. სახელმძღვანელოები და ეროვნული სასწავლო გეგმა

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცავს შემდეგ სავალდებულო საგნებს, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს ყველა საჯარო სკოლაში: ქართული ენა და ლიტერატურა; საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები; მათემატიკა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; უცხოური ენები; ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა.³⁸ მიუხედავად იმისა, რომ სომხური და აზერბაიჯანული ენები ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის შესული, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში

ECMI-მ აღნიშნული და მასწავლებელთა დამატებითი გადამზადების საკითხი არაერთხელ წამოჭრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებსა და სხვადასხვა მრგვალი მაგიდის შეხვედრებზე, რომლებიც განათლების საკითხებს ეხებოდა; მაგ., 2007 წლის 24 ივლისს ECMI-მ საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად ჩაატარა მრგვალი მაგიდის შეხვედრა სახელწოდებით „მიმდინარე განათლების რეფორმა და მისი გავლენა ეროვნულ უმცირესობებზე“. გარდა ამისა, ეს საკითხები განხილულია ეროვნული უმცირესობების საბჭოს (ეუს), ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმისა (ჯსფ) და წალკის სამოქალაქო ფორუმის (წსფ) სამუშაო ჯგუფების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებში, რომლებიც 2007 წელს გამართულ ECMI-ის სხვადასხვა კონფერენციებზე იქნა წარდგენილი. შედეგად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ყოფილმა დირექტორმა ECMI-ის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ გამოირიცხავს საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის ინიციატივით გამოსვლას, რათა აღნიშნული მოთხოვნები გამარტივდეს. ეს საკითხი ჯერ განხილვის სტადიაშია.

შესაბამისად სომხური და აზერბაიჯანული გამოიყენება სწავლების ენად, რასაც ასევე ითვალისწინებს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის ბრძანების თანახმად, ეს და სხვა ენები, ასევე უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა საგნები, როგორცაა სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორია, არჩევით საგნებად ისწავლება სკოლებში (იხილეთ ქვემოთ).³⁹

ბოლო წლებამდე საქართველოს არაქართულენოვან სკოლებს სახელმძღვანელოებით შესაბამისი ეროვნული უმცირესობების ეთნიკური წარმოშობის ქვეყნები ამარაგებდნენ. 2006-2007 სასწავლო წელს, სომხეთის მთავრობამ 156 სომხურენოვანი სკოლა უზრუნველყო სახელმძღვანელოებით, მაშინ როცა აზერბაიჯანის განათლების სამინისტრომ 71,000 საელმძღვანელო დაურიგა აზერბაიჯანულენოვან სკოლებს.⁴⁰ თუმცა, ეს სასკოლო მასალა საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად არ იყო შედგენილი. შედეგად სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური წარმოშობის აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნების დაკმაყოფილება ძალზე უჭირდათ. რის გამოც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა ამ სასკოლო მასალების ქართულიდან სომხურ და აზერბაიჯანულ (ასევე რუსულ) ენებზე თარგმნილი სახელმძღვანელოებით ჩანაცვლება. ამ ინიციატივის განხორციელება 2004 წლის სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დაიწყო, რომელიც დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ასევე ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობას ემსახურება.⁴¹ პირველად 2008 წელს

³⁸ მე-5 მუხლის მესამე პუნქტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

³⁹ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 841 ეროვნულ სასწავლო გეგმებზე, 28 სექტემბერი, 2006 წ.

⁴⁰ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები [Georgia's Armenian and Azeri Minorities]*, პოლიტიკის ანგარიში, ნოემბერი 2006 წ., გვ. 27.

⁴¹ სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე თარგმნილი სახელმძღვანელოების ნუსხა მოცემულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის №6 ბრძანებაში „2007-2008 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელოებისათვის რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების შესახებ“, 1 ივნისი 2007 წ. აღნიშნული ინიციატივა განათლებისა და მეცნიერების

სომხეთის მთავრობამ არ დაურიგა სასწავლო მასალა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსწავლეებს, განსხვავებით წინა წლისაგან, როცა მათ 9,815 სახელმძღვანელო მიიღეს.⁴² გარდა ამისა, საინფორმაციო საშუალებების განცხადებით წელს აზერბაიჯანიდან მიღებული სასკოლო წიგნების რაოდენობაც შემცირდა 21,000 სახელმძღვანელომდე.⁴³

2006-2007 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად შედგენილი ახალი სახელმძღვანელოებით სწავლება 2007 წლიდან დაიწყო სამ საპილოტე კლასში (პირველ, მეშვიდე და მეათე კლასებში). 2007-2008 სასწავლო წლისათვის სამინისტრომ ახალქალაქის სკოლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისათვის თარგმნილი 2,500 სახელმძღვანელო დაურიგა, რომლებიც ათ საპილოტე კლასში იქნა გამოყენებული. პირველკლასელებს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცათ, ხოლო მაღალი კლასების მოსწავლეებმა საკუთარი ხარჯებით შეიძინეს აღნიშნული წიგნები. თუმცა, ცენტრალურ მთავრობასა და ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების განათლების რესურსცენტრებს შორის შეზღუდული კომუნიკაციისა და კოორდინაციის (ამ საკითხის უფრო დეტალური განხილვა იხილეთ ქვევით) შედეგად რეგიონებში სახელმძღვანელოების ნაკლებობაა.⁴⁴ ვითარება გაუმჯობესდა

სამინისტროს ილია ჭავჭავაძის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ. პროექტი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა და ბანკი რესპუბლიკას მიერ დაფინანსდა. იხ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესრელიზი „რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელოები ითარგმნა“, 14 სექტემბერი, 2007 წ.

http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1193218885_1190191751_saxelmdzgvaneloebis%20prezentacia%2015%5B1%5D.09.pdf.

⁴² აღნიშნული მონაცემები ECMI-მ ახალქალაქის რაიონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრისგან მოიპოვა, იანვარი, 2009 წ.

⁴³ ჯ. ბაბაევი, *საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები წუხილს გამოთქვამენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასთან დაკავშირებით არსებულ სერიოზულ პრობლემებზე* [“**Azerbaijanis in Georgia Complain of Serious Problems Receiving Education in their Native Language**”], *Trend News*, 31 ოქტომბერი, 2008 წ., იხ. <http://news.trend.az/index.shtml?show=news&newsid=1334322&lang=en>.

⁴⁴ სათანადო ინფორმაცია საქართველოს რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში 2007 წელს არ გავრცელდა. მეშვიდე და მეათე კლასების სახელმძღვანელოების შესაძენად სკოლებს შეეძლოთ შესაბამისი გამომცემლობებისათვის მიემართათ; მაშინ როცა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის

2008-2009 სასწავლო წლისათვის, თუმცა მაინც ძალიან მცირე რაოდენობის ახალი სახელმძღვანელოები გამოიყენება რეგიონების სკოლებში. 2008 წელს მეორე, მერვე და მეთერთმეტე კლასების სახელმძღვანელოები ითარგმნა და შესაბამისი წიგნები მეორეკლასელებსაც უფასოდ გადაეცა. 2009-2010 სასწავლო წლისათვის სამინისტრომ ასევე დაფინანსება გამოყო არაქართულენოვანი სკოლების მესამე კლასის მოსწავლეებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის, სახელმძღვანელოების დასარიგებლად. ეს პროცესი გაგრძელდებდა სანამ ყველა არაქართულენოვან სკოლაში სავალდებულო საგნების სწავლება არ წარიმართება თარგმნილი სახელმძღვანელოებით, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფი აქვს მინიჭებული. დღეისათვის ჯავახეთის მოსწავლეების დაახლოებით 35% განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თარგმნილ სახელმძღვანელოებს იყენებს.⁴⁵

თუმცა, ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი ჯერ-ჯერობით მოუგვარებელი რჩება. ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით არაქართულენოვანი სკოლების ყველა კლასში სწავლება თარგმნილი სახელმძღვანელოებით უნდა წარიმართოს, მოსწავლეების ოჯახებს დამატებითი ხარჯების გაღება მოუწევთ მათ შესაძენად.⁴⁶ მაშინ როცა ძველ სასკოლო წიგნებს ისინი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნიდან უფასოდ იღებდნენ. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო, სკოლებს მაინც ესაჭიროება დამატებითი სასწავლო მასალა. ალბათ, ეს პრობლემა ყველაზე მეტად შეინიშნება 2008-2009 სასწავლო წელს, რომელიც გარდამავალია ძველი სახელმძღვანელოების

არაქართულენოვანი სკოლების უმრავლესობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესაბამისი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მოლოდინში ძველი სახელმძღვანელოებით განაგრძობდა სასწავლო პროცესს.

⁴⁵ მონაცემები ეყრდნობა ECMI-ის მიერ რეგიონში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს, 2009 წლის იანვარი.

⁴⁶ როგორც უკვე აღინიშნა, პირველ და მეორეკლასელების გამოკლებით.

ახალით ჩანაცვლების პროცესში. თუ რამდენად ეფექტიანად შეძლებს საქართველოს მთავრობა ეროვნული უმცირესობების სასკოლო წიგნებით უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრას მომავალი გვაჩვენებს. ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების აზრითაც სწორედ სახელმძღვანელოების არ ქონა წარმოადგენს რეგიონის არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეების მთავარ საზრუნავს. უფრო მეტიც, მათი განცხადებით, რეგიონის მოსწავლეთა დაახლოებით 30%-ს არც ძველი და არც ახალი სახელმძღვანელოები აქვს.⁴⁷ ამგვარი გარემოება სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილების ნაყოფიერად მომზადებასა და საშინაო დავალების შესრულებაში უშლის ხელს.

ისტორიის სახელმძღვანელოების საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, კერძოდ კი სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეებთან მიმართებაში, რომლებიც ისტორიას ტრადიციულად თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ. ხოლო 2007 წლიდან არაქართულენოვან სკოლებს ქართულიდან თარგმნილი ისტორიის სახელმძღვანელო მიეწოდება, რომელიც, ზოგიერთების შეხედულებით, საქართველოს ისტორიას საკმაოდ არაობიექტურად გადმოცემს. უდავოა, რომ ცალკეული ისტორიული ფაქტის განმარტება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის წიგნებში განსხვავებულია, რაც, თავის მხრივ, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებში გაუგებრობასა და გარკვეულწილად უნდობლობასაც იწვევს ქართული სახელმძღვანელოებისადმი.⁴⁸ ეს საკითხი უფრო ვრცლად მომდევნო ქვეთავში არის განხილული.

⁴⁷ ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავიანთი წუხილი ამ საკითხზე ჩარჩო კონვენციის საცონსულტაციო საბჭოსა და ევროპის საბჭოს დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გამოთქვეს, რომელიც 2008 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა ახალქალაქში ჯსფ-ის რესურს ცენტრში ოფისში.

⁴⁸ ვიკენ ჩეტერიანი, *ერთი ისტორია ყველასათვის* [“One History for All”], *Transitions Online*, 10 დეკემბერი, 2008 წ., იხ. <http://www.tol.cz/look/TOL/article.tpl?IdLanguage=1&IdPublication=4&NrIssue=299&NrSection=2&NrArticle=20249>.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შედგენილი ან რეკომენდირებული სახელმძღვანელოების არაქართულენოვან სკოლებში დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, მოსწავლეებს, რომლებიც სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან გამოგზავნილი წიგნებით სწავლობენ, შესაძლოა აღნიშნული ქვეყნებისადმი კუთვნილების განცდა უნებლიედ გაუძლიერდეთ, რაც თავის მხრივ ქართული საზოგადოებისგან მათ კიდევ უფრო გაუცხოვებას გამოიწვევს. განსაკუთრებით ეს ეხება ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებს. გარდა ამისა, საზღვარგარეთ შედგენილი სახელმძღვანელოები არ შეესაბამება საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმებს. რის გამოც მოსწავლეები, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში სურთ, ამ წიგნებით ვერ მიიღებენ შესაბამის ცოდნას და ძალზე გაუჭირდებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (იხ. ქვემოთ). თუმცა, ახალი სახელმძღვანელოებით სწავლებაზე გადასვლის პროცესი უფრო წარმატებული იქნებოდა თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნულ უმცირესობებს მათ შექმნაში ფინანსურ დახმარებას გაუწევდა, რამდენიმე საწყისი გარდამავალი წლის განმავლობაში მაინც. ეროვნული უმცირესობები ახალი სახელმძღვანელოებით სწავლის დადებით შედეგებს დაინახავდნენ და ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებსაც უფრო მეტი წარმატებით ჩააბარებდნენ.

მშობლებს ახალი სასკოლო წიგნების შესაძენად საჭირო თანხები ხშირად არ გააჩნიათ, რის გამოც ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლის მოსწავლეების დიდ ნაწილს სავალდებულო საგნების სახელმძღვანელოები არ აქვს. ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლები სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოების სასწავლო პროცესში გამოყენებას განაგრძობენ. ჯავახეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, კერძოდ ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის, რეკომენდაციით, მთავრობამ რეგიონის

თითოეული სკოლა ყველა სავალდებულო საგნის სახელმძღვანელოს მაგ. ხუთი ეგზემპლარით უნდა უზრუნველყოს, რომლებიც სკოლების ბიბლიოთეკებში იქნება შენახული. რაც აუცილებელ სასწავლო მასალას მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომს გახდის და მათ გაკვეთილების შემდეგ მომდევნო დღისათვის უკეთ მომზადების შესაძლებლობას მისცემს. ამგვარი გამოსავალი შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და დროებით მაინც გადაჭრის აღნიშნულ რეგიონების სკოლებში სახელმძღვანელოების ნაკლებობის პრობლემას.

ზემოთხსენებული მაგალითები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულ ამბიციურ და პროგრესულ სამართლებრივ რეფორმებს განათლების სფეროში შესაბამისი რესურსების სიმცირე და ხანდახან არათანამიმდევრული პოლიტიკა ამუხრუჭებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პრობლემები გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელია, აუცილებელია სკოლებისა და მოსწავლეების შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა იმისათვის, რომ მიმდინარე რეფორმები წარმატებით გატარდეს.

4. უმცირესობებისთვის სპეციალური საგნების სწავლება

მრავალეროვან სახელმწიფოებში ისტორიის სწავლების საკითხი ხშირად ძალზე მტკივნეულია. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აშკარად დგას პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ქვეყნების უმრავლესობაში განათლების რეფორმა მარტივად როდი გატარდა.⁴⁹ მათ შორის საქართველო გამონაკლისს, წამდვილად, არ წარმოადგენს. უკვე საბჭოთა მმართველობის დასასრულს, კერძოდ კი 1980-იანი წლების ბოლოს, ქართული ისტორიოგრაფია საკმაოდ ეთნოცენტრული იყო. საბჭოთა პერიოდში ისტორია ძალზე პოლიტიზირებული იყო და ხშირად ცალკეული ეთნიკური გჯუფების სწრაფების მხარდაჭერას ან ჩახშობას ემსახურებოდა. ეს ტენდენცია

⁴⁹ CIMERA, *ისტორიის სწავლება საქართველოში* [“History Teaching in Georgia”], იხ. http://www.cimera.org/pdf/History_Teaching_in_Georgia.pdf, გვ. 65.

გარკვეულწილად ქართულ ისტორიოგრაფიასაც შეინიშნება, რასაც ეთნიკური კონფლიქტების მხარეებს შორის ამ თემაზე მიმდინარე დავა ამტკიცებს. აღნიშნული ორი ტენდენცია ისტორიის პოლიტიზირება და ეთნოცენტრიზმი ასევე საქართველოში ისტორიის სწავლებისათვის არის დამახასიათებელი.

არაქართულენოვან სკოლებში ისტორიის სწავლება ნამდვილად ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ეროვნული უმცირესობები ქართულ სახელმძღვანელოებში ნაკლებად არიან წარმოჩენილი. ეროვნული უმცირესობების ისტორია ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული არ არის და არაქართულენოვან სკოლებში არჩევით საგნებად ისწავლება. რის გამოც სკოლებს მხოლოდ შეზღუდული რესურსი გააჩნია ამ საგნების პედაგოგების ანაზღაურების დასაფარად, რაც ეროვნული უმცირესობების უკმაყოფილებას იწვევს. ECMI-მ არაერთხელ წამოჭრა ეს საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან. აღნიშნული პრობლემა ასევე განიხილება ეროვნული უმცირესობების საბჭოს, ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმისა და წალკის სამოქალაქო ფორუმის სამუშაო ჯგუფების მიერ ერთობლივად შემუშავებულ რეკომენდაციებში, რომლებიც წარდგენილი იქნა 2007 წელს სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ჩატარებულ ECMI-ის კონფერენციებზე სახელწოდებით „მიმდინარე განათლების რეფორმა და მისი გავლენა ეროვნულ უმცირესობებზე“. შედეგად ეროვნულ სასწავლო გეგმებში ცვლილებები შევიდა, რამაც საქართველოს საჯარო სკოლებს თავიანთ სასწავლო გეგმებში უფრო მეტი არჩევითი საგნების ჩართვის საშუალება მიანიჭა.⁵⁰ კერძოდ, 2007 წელს არჩევით საგნებზე საათობრივი შეზღუდვა გაუქმდა. გარდა ამისა, არაქართულენოვანი სკოლების უმრავლესობას (კერძოდ კი განხილულ რეგიონების სკოლებს) არჩევითი საგნების მასწავლებელთა ანაზღაურების დასაფარად საჭირო ფინანსური რესურსი აქვს. რაც შესაძლებელი გახდა საქართველოს მთავრობის №182 დადგენილებაში შესული №246 ცვლილების

⁵⁰ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №841 ეროვნულ სასწავლო გეგმებზე, 2006 წლის 28 სექტემბერი.

შედეგად (2007 წლის 13 ნოემბრის), რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაზრდილ დაფინანსებას უზრუნველყოფს საჯარო სკოლებისათვის, ხოლო მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლებს ქალაქის სკოლებთან შედარებით უფრო მეტი დაფინანსება გამოეყოფა.⁵¹ ასევე აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც არაქართულენოვან სკოლებში სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის, ან სხვა შესაბამისი საგნების, სწავლებაზე პროექტები დაფინანსდებოდა. თუმცა, მიუხედავად საკანონდებლო ცვლილებებისა და ფინანსური მხარდაჭერისა, ზოგიერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების სიუხვისა და ქართული ენის უფრო ინტენსიური სწავლების შედეგად არჩევით საგნებს სკოლებში მცირე დრო ეთმობა.

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული უმცირესობები ისტორიას ტრადიციულად მხოლოდ თავიანთი ეთნიკური წარმოშობის ქვეყნებიდან მიღებული სახელმძღვანელოებით სწავლობენ. ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ, კერძოდ კი 2007 წლიდან, საქართველოს ისტორია ქართულიდან უმცირესობების ენებზე ნათარგმნი წიგნებით ისწავლება. თუმცა, განხილულ რეგიონებში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობების ისტორია ნათარგმ სახელმძღვანელოებში ნაკლებად არის ასახული, ან მეტწილად უარყოფით კონტექსტში არის გადმოცემული. რის გამოც არაქართულენოვალ სკოლებში ისტორიას როგორც ახალი ასევე ძველი სახელმძღვანელოებით ასწავლიან, რათა

⁵¹ დადგენილების თანახმად საჯარო სკოლები სამ კატეგორიად არის დაყოფილი: 1. ქალაქის სკოლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ მოსწავლეზე 300 ლარ დაფინანსებას იღებენ ყოველწლიურად; 2. სოფლის/დაბის სკოლები - 420 ლარს; 3. მაღალმთიანი დასახლებული პუნქტების სკოლები კი - 510 ლარს; აღსანიშნავია, რომ ერთ მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლების დაფინანსება წინა წლებთან შედარებით გაიზარდა. მაგ.; მთავრობის დადგენილების წინა ცვლილების (2006 წლის 22 დეკემბრის) მიხედვით, ზემოთხსენებული კატეგორიის სკოლების დაფინანსება შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1. პირველი კატეგორიის სკოლაში - 250 ლარი ერთ მოსწავლეზე; 2. მეორე კატეგორიის სკოლაში - 350 ლარი ერთ მოსწავლეზე; 3. მესამე კატეგორიის სკოლაში - 425 ლარი ერთ მოსწავლეზე.

სომხებისა და აზერბაიჯანელების ისტორია იცოდნენ მოსწავლეებმა.⁵² ამ საკითხის გადაჭრა სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლებაში ცვლილების შეტანით არის შესაძლებელი, როგორც ქართულენოვან ისე არაქართულენოვან სკოლებში, რათა ეროვნულ უმცირესობათა წვლილი უფრო მეტად აისახოს სახელმძღვანელოებში. საქართველოს ისტორიის ამგვარი მიდგომით სწავლება გააცნობდა უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებს თავიანთ თანამოქალაქეთა ისტორიასა და კულტურას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს საგრძნობლად დააჩქარებდა.

გააცნობიერა რა ისტორიის სახელმძღვანელოებში ეროვნულ უმცირესობათა წვლილის უფრო მეტად წარმოჩენის საჭიროება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ საკითხის მრავალეროვან საზოგადოებებში ისტორიის სწავლების დარგში ექსპერტებთან განხილვა დაიწყო. ორგანიზაცია CIMERA-მ საქართველოში ისტორიის სწავლების თაობაზე ანგარიში შეიმუშავა და ასოციაცია EuroClio-სთან ერთად ამ საკითხის გადაჭრის ერთობლივი სტრატეგიის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. EuroClio არის ისტორიის პედაგოგთა ევროპული ასოციაცია, რომელიც 1993 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების პასუხად დაარსდა. EuroClio-ს საქმიანობა ძირითადად ისტორიის სწავლების მეშვეობით კულტურათაშორისი დიალოგის შექმნას ემსახურება.⁵³ უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხს რამდენიმე შეხვედრა და სემინარი დაეთმო საქართველოში. ბოლო ასეთი სემინარი 2009 წლის აპრილში ჩატარდა ასოციაცია EuroClio-ს ორგანიზებით, რომელზეც სამინისტრომ ეროვნულ უმცირესობათა წვლილის მეტად ასახვის მიზნით ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების შეცვლის მზადყოფნა გამოთქვა.

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სხვა საგნების სწავლებას,

⁵² CIMERA, *ისტორიის სწავლება საქართველოში [History Teaching in Georgia]*, გვ. 23.

⁵³ დამატებითი ინფორმაცია იხ. <http://www.euroclio.eu>.

აღსანიშნავია უდიური ენის სწავლების საკითხი.⁵⁴ უდიები კომპაქტურად ყვარელის რაიონის სოფელ ოქტომბერში ცხოვრობენ. უდიური წარმოშობის ბავშვები ზოგად განათლებას ქართულენოვან საჯარო სკოლებში იღებენ და, შესაბამისად, ქართულს თავისუფლად ფლობენ. რის გამოც უდიური ენა ნაკლებად გამოიყენება. 2002 წელს სათემო ორგანიზაცია „უდი“-მ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ადგილობრივ სკოლაში უდიური ენის არჩევით საგნად სწავლების ნებართვა აიღო.⁵⁵ თუმცა დაფინანსების ნაკლებობის გამო უდიური ენის გაკვეთილები სოფ. ოქტომბრის სკოლაში ერთი წლის შემდეგ შეწყდა. მოსწავლეებისა და მშობლების დიდი დაინტერესების მიუხედავად ადგილობრივმა მოსახლეობამ მშობლიური ენის სწავლების გასაგრძელებლად საჭირო სახსრების მოძიება ვერ შეძლო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახლახან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მოხერხდა უდიური ენის გაკვეთილების აღდგენა, რომელიც ამჟამად კვირაში ერთხელ მესამედან მეცხრე კლასამდე ისწავლება. ამ საგანს თითოეულ კლასში საშუალოდ ხუთიდან ათ მოსწავლემდე ესწრება აღნიშნულ გაკვეთილებს.

5. სკოლამდელი განათლება

სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე წარმატებული პროექტი განხორციელდა CIMERA-ს მრავალენოვან განათლების პროგრამებში აპრობირებული ინტერაქტიული მეთოდების მსგავსი მიდგომის გამოყენებით. CIMERA-ს გამოცემა „ჩვენ თამაშით ვსწავლობთ. 111 ინტერაქტიული თამაში მრავალენოვანი განათლებისათვის“, რომელიც გამოიყენებოდა ზემოთხსენებულ პროგრამებში, უფასოდ დარიგდა

⁵⁴ უდიები უძველესი კავკასიელი ალბანელების ტომის შთამომავლები არიან. საქართველოში უდიები მხოლოდ ყვარელის რაიონის სოფელ ოქტომბერში ცხოვრობენ (კახეთი) (2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად უდინების მოსახლეობა საქართველოში სულ 203 კაცს შეადგენს, ხოლო მიახლოებითი გამოთვლებით - 500 კაცამდე).

⁵⁵ ამ საგნის სახელმძღვანელო უდიური ენის ადგილობრივმა მასწავლებელმა შეადგინა ქართული ანბანის გამოყენებით, რათა ენა უფრო მარტივად ასატვისებელი ყოფილიყო ბავშვებისათვის. აღნიშნული ინიციატივა შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა მკვლევარმა დააფინანსა.

რეგიონების საგანმანათლებლო რესურსცენტრებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში. აღნიშნული სასწავლო მასალის გამოყენებისა და ამ გამოცემებში აპრობირებული ინტერაქტიული მეთოდების დანერგვის მიზნით ECMI-მ და ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმმა (ჯსფ) სომხურენოვანი საბავშვო ბაღების მოსწავლეებისათვის ქართული ენის შესწავლის ხელშესაწყობად რამდენიმე პროექტი განახორციელეს. კერძოდ, 2005-2007 წლებში სულ ოთხი ამგვარი პროექტი განხორციელდა - ორი ახალქალაქისა და ორი ნინოწმინდის რაიონში. შედეგად სულ სომხური ეთნიკური წარმოშობის 373-მა ბავშვმა გაიარა ქართული ენის კურსი. თავდაპირველად ამ ბავშვების მშობლები თავიანთი შვილებისათვის ქართული ენის ასეთ მცირე ასაკში სწავლებისადმი საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი. თუმცა, ინტერაქტიული მეთოდებით ჩატარებულმა ქართული ენის გაკვეთილებმა (ლოზუნგით „ვითამაშოთ და ვისწავლოთ“) სულ უფრო მეტი ბავშვი მიიზიდა. ამავდროულად მშობლებმაც გააცნობიერეს თუ რამდენად სასარგებლო იყო ეს გაკვეთილები მათი შვილებისათვის, ვინაიდან ბავშვები, რომლებმაც არაქართულენოვან სკოლებში განაგრძეს სწავლა, უკვე ფლობდნენ ქართული ენის საწყისებს. 2007 წლის ოქტომბერში უკანასკნელი მსგავსი პროექტის დასასრულს ჯსფ-მ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, რომლებიც სკოლამდელი განათლების დაფინანსებაზე არიან პასუხისმგებელი, წარმომადგენლებს მიმართეს ანალოგიური კურსების გასაგრძელებლად ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის თხოვნით. რის პასუხადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამგვარი პროექტები მუდმივი ხასიათის უნდა იყოს და ახალქალაქის საბავშვო ბაღებში ქართულის სწავლებისათვის საჭირო თანხების 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინების მზადყოფნა გამოთქვეს. შედეგად უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალქალაქის რაიონის გამგეობა ახალქალაქის ყველა საბავშვო ბაღში ქართული ენის გაკვეთილებს აფინანსებს.

2009 წლის განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლამდელი მრავალენოვანი განათლების მოდელის გავითარებას გეგმავს, რის შედეგადაც ეს

მოდელი განათლების სფეროში სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ნაწილად უნდა იქცეს. გარდა ამისა, ტოლერანტობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის თანახმად, სამინისტრომ 84,690 ლარი გამოყო ქვეპროგრამა „სკოლამდელი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლის ხელშეწყობა არაქართულენოვან რეგიონებში“ განსახორციელებლად. გარდა ზემოთაღნიშნული გათვალისწინებული ფინანსური რესურსებისა სამინისტრო ამ ინიციატივის განსახორციელებლად ეუთოსაგან დამატებითი სახსრების მოძიებას იმედოვნებდა.⁵⁶ თუმცა, 2009 წელს საქართველოში ეუთოს მისიისა შეწყვეტის გამო აღნიშნული პროექტისათვის დამატებითი რესურსების მოპოვება არც ისე მარტივი იქნება. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღნიშნა სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის მიხედვით სკოლამდელი განათლების განვითარება საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. ზემოთხსენებული ინიციატივის ფარგლებში სამინისტრო ასევე სკოლამდელი განათლების საფეხურისათვის სპეციალური ქართული ენის სასწავლო გეგმისა და მასწავლებელთა მოსამზადებელი სახელმძღვანელოს შემუშავებას გეგმავს, რომელთა მეშვეობითაც მოხდება ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადება მოხდება. გარდა ამისა, დაგეგმილია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის შემსწავლელი სკოლამდელი 6 ცენტრის გახსნა საჯარო სკოლების ბაზაზე.

6. სკოლების მართვა

განათლების სისტემის დახვეწის მიზნით 2005 წელს მიღებულმა საქართველოს კანონმა ზოგადი განათლების შესახებ საჯარო სკოლებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა.⁵⁷ ამ დებულების განხორციელების უზრუნველსაყოფად USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო ზოგადი განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტის განხორციელება.

⁵⁶ ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, ანა ჟვანიასთან, თბილისი, 2008 წლის 16 დეკემბერი.

აღნიშნული პროექტის მთავარ მიზნებს განათლების სისტემაში, დაფინანსების საკითხებში, გადაწყვეტილების მიღებისა და ხარისხის კონტროლის პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. პროექტის დეცენტრალიზაციის კომპონენტი კი მთელ ქვეყანაში 70 საგანმანათლებლო რესურსცენტრის დაარსებასა და მათი საქმიანობის ხელშეწყობაში გამოიქაზა. თითოეული ასეთი რესურსცენტრი დაახლოებით 35 სკოლას უწევს ზედამხედველობას და მათი საქმიანობის მთავარ მიზანს ადგილობრივ სკოლებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის შუამავლობა წარმოადგენს. რესურსცენტრები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ზედამხედველობას უწევენ სკოლების მართვასა და ადმინისტრაციას, ასევე უზრუნველყოფენ სხვადასხვა პროფესიონალურ მომსახურებასა და საჭიროებათა ანალიზს.

სამართლებრივი რეფორმების დეცენტრალიზაციის კომპონენტის ფარგლებში საგანმანათლებლო რესურსების განკარგვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო სკოლების დირექტორებსა და სამეურვეო საბჭოს წევრებს დამატებითი უფლებებები და მოვალეობები დაეკისრათ სკოლების ფინანსურ მართვასთან დაკავშირებით. უკანასკნელ პერიოდამდე არაქართულენოვანი სკოლების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაქმებულები ამ საკანონმდებლო სიახლეების თაობაზე არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი, რის გამოც მათ სკოლის ფინანსების მართვისათვის საჭირო უნარები არ გააჩნდათ. აღნიშნული გარემოების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის არცოდნა წარმოადგენდა, რომელიც მეტწილად მხოლოდ ქართულადაა ხელმისაწვდომი. ამ საკითხის გადაჭრის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარდათ სკოლების მართვის, სამეურვეო საბჭოს წევრების უფლებებისა და

⁵⁷ 31.1 მუხლი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005 წლის 8 აპრილი.

მოვალეობებისა და სკოლების ბიუჯეტირების საკითხებზე. რის შემდეგაც რესურსცენტრების თანამშრომლებს შესაბამისი რაიონების საჯარო სკოლების დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის ანალოგიურ თემებზე ტრენინგი უნდა ჩატარებინათ. გარდა ამისა, ზემოთხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ჯავახეთის საჯარო სკოლების დირექტორებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების უკეთ ინფორმირების მიზნით 2007 წლის მარტში ECMI-მ ტრენინგი ჩაუტარა ჯავახეთის (ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების) 15 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებს.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესურსცენტრის თანამშრომლები ანალოგიური ტრენინგის ჩატარებას მხოლოდ იმ საჯარო სკოლებში გეგმავდნენ, რომელთა დირექტორებიც უკვე არჩეულნი იყვნენ. მაშინ როცა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატების უმრავლესობამ 2007 წლის იანვარში ჩატარებული ტესტირების წარმატებით ჩაბარება ვერ შეძლო. ხოლო სამეურვეო საბჭოებს ფისკალური წლის დასაბუთება 2007 წლის 10 დეკემბრისათვის სკოლების დამტკიცებული ბიუჯეტები უნდა წარედგინათ. ჯავახეთის საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრების აღნიშნულ თემაზე უკეთ ინფორმირების მიზნით 2007 წლის დეკემბერში ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმმა (ჯსფ) ECMI-ის ფინანსური მხარდაჭერით პროექტი განახორციელა, რომლიც ფარგლებშიც რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში ტრენინგები ჩატარდა სკოლის ფინანსების მართვის საკითხებზე, კერძოდ, სკოლების ბიუჯეტირების თემაზე. გარდა ამისა, 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ფორუმის წევრმა ორგანიზაციამ, სამოქალაქო განათლება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის (სგსს), ანალოგიურ თემაზე ტრენინგი დამატებით 30 სკოლაში ჩაატარა. ასევე ახლახან ჩატარებული სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნების შედეგად არჩეული ახალი წევრების თხოვნის საფუძველზე ჯავახეთის კიდევ ხუთ სკოლაში ჩატარდა ტრენინგი (სულ 41 სკოლაში), ხოლო ახლო მომავალში ანალოგიური ტრენინგების ორგანიზება რეგიონის დანარჩენ სკოლებშიც იგეგმება. გარდა ამისა,

2008 წლის აპრილში ECMI-მ და ჯსფ-მ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით (ზგდა-ს პროექტის ფარგლებში) სკოლების ფინანსების მართვის თემაზე ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი საინფორმაციო ბროშურები გამოსცა. რის შედეგადაც რეგიონებში მომუშავე შესაბამის სპეციალისტებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ინფორმაციას, რომელიც აქამდე მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი. მოგვიანებით აღნიშნული ბროშურები ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებშიც დარიგდა, კერძოდ კი არასამთავრობო ორგანიზაციათა ასოციაციამ, წალკის სამოქალაქო ფორუმმა, ბროშურები წალკის რაიონის არაქართულენოვან საჯარო სკოლებში გაავრცელა.

რეფორმის ფარგლებში საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. აუცილებელია დღემდე ჩატარებული ამ არსებითი რეფორმების სკოლებისათვის სათანადოდ ახსნა, რათა მათ შეძლონ ამ რეფორმების ცხოვრებაში გატარება. ეს ვალდებულება საგანმანათლებლო რესურსცენტრებს აკისრია. თუმცა, ზემოთხსენებული შემთხვევა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით კომუნიკაციის ნაკლებობის თაობაზე, ასევე უკანასკნელი მაგალითიც ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაღებაა საჭირო რესურსცენტრების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. რესურსცენტრები უკვე შექმნილია, თუმცა რამდენად ეფექტიანად შეძლებენ ისინი სკოლებისათვის საჭირო ინფორმაციის დროულად გავრცელებას მომავალი გვაჩვენებს. ამჟამად მათი საქმიანობა კოორდინაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობით გამოირჩევა, ასევე სამიზნე ჯგუფებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების სიმცირით.

საგანმანათლებლო რეფორმების აკრედიტაციის კომპონენტი 2006 წელს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დაარსებით გამოიხატა. 2007 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი დაიწყო, ხოლო ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციას უახლოეს წლებში

ექნება ადგილი, კერძოდ 2011 წელს. საგანმათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია დირექტორებისათვის, მასწავლებლებისა და სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის ინტენსიური ტრენინგების ჩატარება. ამ უკანასკნელი ამოცანების განხორციელება მომავალში უფრო გართულდება, ვინაიდან USAID-ის მიერ დაფინანსების მოულოდნელი შეწყვეტის შედეგად 2008 წლის თებერვალში ზოგადი განათლებისა და აკრედიტაციის პროექტი დაიხურა. რის შედეგადაც ამჟამად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აქვს სპეციალური პროექტი, რომელიც ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება, რათა მათ ახალი კანონმდებლობით შემოღებული აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლონ. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამინისტროსთან ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის საქმიანობაც მეტწილად მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული სტანდარტების გავითარებას ემსახურება. ამავდროულად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ინიციატივები არ არის საკმარისი შეზღუდული რესურსებისა და აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობისათვის სახელმწიფო დაწესებულებებში შესაბამისი უწყებების არარსებობის გამო.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებამ ასევე სკოლებისათვის ფინანსების გამოყოფისა და მათი განკარგვის წესის შეცვლა გამოიწვია. მოსწავლეების რაოდენობიდან გამომდინარე სკოლების დაფინანსების შემოღებამ, რომელსაც ასევე ვაუჩერულ სისტემას უწოდებენ, ვერ გადაჭრა არაქართულენოვანი სკოლებისათვის დაფინანსების ნაკლებობის პრობლემა.

არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები დამატებით ქართულს როგორც მეორე ენას სწავლობენ, რაც თავის მხრივ საკმაოდ დიდ დანახარჯებთან არის

დაკავშირებული მასწავლებელთა გადამზადებისა და დამტებითი სასწავლო მასალის საჭიროების გამო. თუმცა, ვაუჩერული სისტემა აღნიშნული სკოლებისათვის დამატებით დაფინანსებას არ ითვალისწინებს.⁵⁸ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ გაზრდილ ვაუჩერს ითვალისწინებს იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ვერ სარგებლობენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებით.⁵⁹ ეს დებულება მნიშვნელოვანია არაქართული ეთნიკური წარმოშობის მოსწავლეებისათვის, თუმცა რეალურად ეროვნული უმცირესობების მხოლოდ ერთეული წარმომადგენლები, რომლებიც ქართულენოვან სკოლებში სწავლობენ, ღებულობენ სარგებელს გაზრდილი ვაუჩერისაგან, მაშინ როცა არაქართულენოვანი სკოლები დაფინანსების ნაკლებობას განიცდიან. ვაუჩერული სისტემა არ ითვალისწინებს ენის დამატებითი კომპონენტისათვის გაზრდილ დაფინანსებას იმ სკოლებისათვის, სადაც ქართული ინსტრუქციის ენა არ არის და ისწავლება როგორც უცხო ენა.⁶⁰ ამ პრობლემას თავად ვაუჩერული სისტემის სირთულეც ემატება, რომლის მართვაც ზოგიერთ სკოლებს საკმაოდ უჭირს. რის გამოც აუცილებელია ამ ახალი დაფინანსების სისტემის მართვის თაობაზე სკოლის დირექტორებისათვის დამატებითი ტრენინგის ჩატარება.

6.1. სკოლის დირექტორობის კანდიდატთა და მასწავლებელთა ტესტირება

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატებმა და მასწავლებლებმა შესაბამისად 2008 და 2010 წლებისათვის საკვალიფიკაციო გამოცდებილი უნდა ჩააბარონ.⁶¹ 2007 წლის იანვარში სკოლის დირექტორობის კანდიდატთა ტესტირების პირველი ეტაპი

⁵⁸ შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია და მარიკა ოძელი, *რეკომენდაციები ენის პოლიტიკაზე ენობრივი უმცირესობების დაცვისათვის* [“Recommendations on Language Policy to Protect Linguistic Minorities”] (ჯერ არ არის გამოქვეყნებული), გვ. 11.

⁵⁹ მე-7 მუხლი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

⁶⁰ შალვა ტაბატაძე, კახა გაბუნია და მარიკა ოძელი, *რეკომენდაციები ენის პოლიტიკაზე ენობრივი უმცირესობების დაცვისათვის* [“Recommendations on Language Policy to Protect Linguistic Minorities”], გვ. 25.

ჩატარდა. აღნიშნული გამოცდა ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ნაწილი კანდიდატთა ზოგად უნარებს ამოწმებს, მეორე - მათ პროფესიულ უნარებს; მესამე ნაწილი ფუნქციურ წერას ეთმობა, ხოლო მეოთხე შესაბამისი ქართული კანონმდებლობის ცოდნას ამოწმებს.⁶² ტესტების სამი ნაწილის რუსულ ენაზე ჩაბარება იყო შესაძლებელი, ხოლო მესამე ნაწილი, ფუნქციური წერა, მაგ. მოკლე საპროექტო წინადადება, ყველა კანდიდატს ქართულ ენაზე უნდა ჩაეხარებინა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ტესტირების ოფიციალური შედეგების თანახმად, ჯავახეთის საჯარო სკოლების დირექტორობის 175 კანდიდატიდან მხოლოდ თერთმეტმა შეძლო მათი ჩაბარება, რომელთაგანაც რვა ქართული წარმოშობის იყო. ქვემო ქართლში კი 659 კანდიდატიდან 273-მა გაიარა ტესტირება წარმატებით, თუმცა მხოლოდ რვა მათგანი იყო ეთნიკური აზერბაიჯანელი. საერთო ჯამში საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორობის 5,197 კანდიდატი იყო, რომელთაგან 3,427-მა ტესტირება წარმატებით გაიარა. თუმცა, ამ კანდიდატთაგან მხოლოდ 46 მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას. არაქართული წარმოშობის კანდიდატები ტესტირებაში მეტწილად სახელმწიფო ენის დაბალ დონეზე ცოდნის გამო ჩაიჭრნენ. იმდროინდელმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გია ნოდიაძემ, განაცხადა, რომ ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლის დირექტორობის კანდიდატებისათვის ქართული ენის კომპონენტის ჩაბარება შეუძლებელია. რის შედეგადაც მან გადაადგინა ტესტირების მეორე ტურის თარიღი და განაცხადა, რომ კანდიდატებს მომავალში ტესტირების ჩაბარებისა კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცემათ. აღნიშნული საკვალიფიკაციო გამოცდები 2009 წლის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა თარიღი ისევ გადაიტანეს. უკანასკნელი მონაცემებით ტესტირება 2009 წლის დეკემბერში შედგება, თუმცა ეს ჯერ დანამდვილებით

⁶¹ 42-ე მუხლი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

⁶² 2007 წლის 28 იანვრის გამოცდებზე გამოყენებული ტესტები იხ.

http://www.naec.ge/more.php?t=links.php&f=19&su=2007tests1&rig_no=11&id=82&lang=geo.

ცნობილი არ არის. გარდა ამისა, სამინისტროს 2009 წლის ბიუჯეტში 100,000 ლარი არის გათვალისწინებული „საქართველოს საჯარო სკოლების არაქართულენოვანი დირექტორობის კანდიდატების ტესტირებისათვის მომზადების ქვეპროგრამის“ განსახორციელებლად, რომლის ფარგლებშიც შესაბამის კანდიდატებს სპეციალური ინტენსიური საგანმანათლებლო ტრენინგ კურსი ჩაუტარდებათ.⁶³

ჯავახეთის საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატათვის ორგანიზებული ქართული ენის კურსები და ტრენინგები პროექტის მართვაზე საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მათ ტესტირების ჩაბარება შეძლონ, ვინაიდან მონაწილეთა უმრავლესობა ქართულ ენას ძალიან დაბალ დონეზე ფლობდა და დროც ამის გამოსასწორებლად ძალზე მცირე ქონდათ. მსგავსი ტრენინგების ნაკლებობა ასევე ამცირებს სკოლების შესაძლებლობას მოიპოვონ დამატებითი დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან. კერძოდ, 2007 წლის იანვარში სამინისტრომ „მოზარდებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ განხორციელება დაიწყო, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ენის კურსების ორგანიზებას სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების არაქართული წარმოშობის წარმომადგენლებისათვის. ამ პროგრამის ფარგლებში აღნიშნული კურსები დაფინანსდებოდა საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების მიერ წარდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე.⁶⁴

თუმცა, ჯავახეთის საჯარო სკოლების მასწავლებელთა და დირექტორთა უმრავლესობა სამინისტროს ამ ინიციატივის შესახებ თავდაპირველად არ იყო ინფორმირებული.⁶⁵ რის შედეგადაც 2007 წლის ბოლოსათვის მხოლოდ ერთი

⁶³ საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

⁶⁴ პროგრამის მიზნებსა და ამოცანებზე ვრცელი ინფორმაცია იხ.

http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1193228409_1191851345_zrdasultatvis%20saxelmcifo%20enis.pdf.

⁶⁵ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით ჯსფ-მ, ECMI-ის ყოველწლიური მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში პროექტი განახორციელა, რომლის თანახმადაც ჯავახეთის საჯარო სკოლების

საპროექტო წინადადება იქნა შეტანილი სამინისტროში ნინოწმინდის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ. ქვემო ქართლის საჯარო სკოლებში ინფორმაცია უფრო სწრაფად გავრცელდა. მოგვიანებით ჩატარებული დამატებითი ტრენინგებისა და საინფორმაციო კამპანიების შედეგად სამინისტროში სულ 37 საპროექტო წინადადება იქნა შეტანილი ჯავახეთიდან, რომელთაგან რამდენიმე დაფინანსდა კიდევ. საერთო ჯამში სამინისტრომ ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან წარდგენილი პროექტების მხარდასაჭერად 80,000 ლარი გამოყო. თუმცა, 2008 წელს სამინისტრომ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები შეიტანა და დღეისათვის ამ პროექტების დაფინანსება აღარ გრძელდება. აუცილებელია დამატებითი კურსების ორგანიზება ქართულ ენასა და პროექტების მართვის საკითხებზე, რათა ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლების მართვა გაუმჯობესდეს. საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატთა ტერსტირების შედეგები კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ეროვნული უმცირესობებს სახელმწიფო ენის სწავლისათვის საკმაოდ მცირე დრო ჰქონდათ. გარდა ამისა, ზემოთხსენებული მაგალითი სამინისტროში საპროექტო წინადადებების წარდგენის თაობაზე ასევე მიუთითებს ცენტრსა და რეგიონს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაზე.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მერვე პუნქტის თანახმად, 2010-2011 სასწავლო წლიდან „აკრედიტებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე პროფესიული მომზადების პროგრამა და ჩაბარებული აქვს სათანადო სასერტიფიკაციო გამოცდა.“⁶⁶ აღნიშნული სასერტიფიკაციო გამოცდა სამ ეტაპად ჩატარდება, ხოლო თითოეულის წარმატებით

დირექტორობის დაახლოებით 90-მა კანდიდატმა ქართული ენის კურსები გაიარა. პროექტი 2007 წლის ოქტომბერში დასრულდა, თუმცა იმავე წლის ნოემბერში გაგრძელდა ფონდი ღია საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით.

ჩაბარების შემთხვევაში მასწავლებლებს უფრო მაღალი ანაზღაურება ექნებათ. კანონის ამ დებულებამ რეგიონების მასწავლებლებში შიში გამოიწვია, ვიანიდან ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ვერ შეძლებენ გამოცდების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ასეთ მოკლე ვადაში. შედეგად იმ პედაგოგებს, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ვერ ჩააბარებენ, უფრო დაბალი ანაზღაურება ექნებათ ვიდრე მათ, ვინც წარმატებით გაივლიან ტესტირების ეტაპებს. როგორც უკვე აღინიშნა, თავად მასწავლებლები არ ფლობენ ქართულ ენას საკმარის დონეზე, რის გამოც ბუნებრივია, რომ ისინი ნადვილად ვერ შეძლებენ მოსწავლეებისათვის ქართულის სათანადოდ სწავლებას. აქედან გამომდინარე პედაგოგებისათვის სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს მთავარ პრობლემას მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმასთან მიმართებაში. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, ვინაიდან 2008 წლის მონაცემებით საქართველოს არაქართულენოვან საჯარო სკოლებში 6,541 მასწავლებელია დასაქმებული, რომელთაგან 5,805 სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მუშაობს.⁶⁷

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანახმად (აღნიშნული ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია), მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები 2009 წელს დაიწყება. პედაგოგებს, რომლებიც ვერ გაივლიან ტესტირებას, მუშაობის გაგრძელების უფლება 2013 წლამდე ექნებათ და ამ პერიოდამდე მათ საშუალება მიეცემათ განმეორებით გაიარონ სასერტიფიკაციო გამოცდა. გარდა ამისა, მასწავლებლები ვალდებული არიან მსგავსი გამოცდა ყოველ რვა წელიწადში ერთხელ ჩააბარონ. ამ პროცესში პედაგოგების მხარდაჭერის მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა 2008 წელს მასწავლებლის რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო გამოსცა, რომელთა მიზანია პედაგოგთა

⁶⁶ 59-ე მუხლის მერვე პუნქტი, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

⁶⁷ შალვა ტაბატაძე და ნათია ნაცვლიშვილი, ინტერკულტურული განათლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008 წ., გვ. 15.

პროფესიონალიზმის ამაღლება და სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში მათთვის დახმარების გაწევა.⁶⁸ ცენტრმა ასევე მასწავლებლის სტანდარტები შეიმუშავა. ეს სტანდარტები ორ ძირითად ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი მოიცავს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელიც საერთოა ყველა საგნის პედაგოგთათვის. ხოლო მეორე შედგება მასწავლებლის საგნობრივი სტანდარტებისაგან. აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტები შედგენილია სასერტიფიკაციო გამოცდის თანახმად, რომლის ტესტებიც ასევე ორი ნაწილისაგან შედგება - ზოგადი და საგნობრივი.

ძალზე მნიშვნელოვანია ამ გამოცემების თარგმნა სხვა ენებზეც, რათა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებმაც შეძლონ ამ დამხმარე სახელმძღვანელოებით სარგებლობა, ვინაიდან მათში მოცემული ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ზოგადი უნარების ტესტის შინაარსს ეყრდნობა, რომელთა ჩაბარებაც ცალკეულ საგნობრივ ტესტთან ერთად სასერტიფიკაციო გამოცდებისას ყველა პედაგოგს მოუწევს.⁶⁹ თუმცა აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა აღნიშნული სტანდარტები სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე თარგმნა, რომელთა ორი ასლი თითოეულ არაქართულენოვან საჯარო სკოლას უფასოდ გადაეცა ისევე როგორც თითო ეგზემპლარი რაიონების საგანმანათლებლო რესურსცენტრებში დარიგდა. გარდა ამისა, 2008 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გამოსცემს ჟურნალს, „მასწავლებელი“, რომელიც შეიცავს სტატიებს მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. შარშან აღნიშნული ჟურნალი კვარტალში ერთხელ იბეჭდებოდა, ხოლო 2009 წლიდან ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოდის, რომლის მინიმუმ ორი ეგზემპლარი

⁶⁸ ჯერ-ჯერობით სულ სამი დამხმარე სახელმძღვანელო იქნა გამოცემული: „განვითარებისა და სწავლის თეორიები“, „სწავლება და შეფასება“ და „სასწავლო და პროფესიული გარემო, იხ. <http://www.tpdg.ge/index.php?page=tpdc-publications&hl=ge>

⁶⁹ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია იხ. <http://www.tpdg.ge/index.php?page=archive&hl=ge>

საქართველოს საჯარო სკოლებში უფასოდ რიგდება. ჟურნალი „მასწავლებელი“ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც იბეჭდება, რომლის ტირაჟიც შესაბამისად 650 და 500 შეადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ყოველთვიურ გაზეთს, „დიალოგს“, გამოსცემს, რომელიც ძირითადად საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლების მიერ დასმულ შეკითხვებსა და მათზე ცენტრის მიერ გაცემულ პასუხებს შეიცავს. ქართულ ენაზე გაზეთის 2,500 ეგზემპლარი იბეჭდება, ხოლო სომხური და აზერბაიჯანული ვერსიების ტირაჟი 200 შეადგენს (ითარგმნება 2007 წლიდან) და ყოველთვიურად შესაბამის არაქართულენოვან სკოლებში ასევე უფასოდ ვრცელდება. „დიალოგის“ სომხურ და აზერბაიჯანულ ვერსიებს დანართი სახელწოდებით „მრავალენოვანი განათლება“ ახლავს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა სტანდარტები შეიმუშავა იმ საგნების უმრავლესობისათვის, რომლებიც საქართველოს სკოლებში ისწავლება,⁷⁰ თუმცა სომხური და აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სტანდარტები ჯერჯერობით არ არსებობს. უკანასკნელი გარემოება ამ საგნების მასწავლებლებს საგრძნობლად აღელვებს, ვინაიდან მათ ეშინიათ, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მიღებას საერთოდ ვერ შეძლებენ. აღნიშნული საკითხი რეგიონებში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დამცველთა დღის წესრიგშიც დგას, ვინაიდან სტანდარტების არქონამ შესაძლოა მომავალში სომხური და აზერბაიჯანული ენების პედაგოგთა საქმიანობას ხელი შეუშალოს. ეს მაგალითი, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ სომხური და აზერბაიჯანული ენები ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის შესული, ამტკიცებს, რომ უმცირესობების ენების სწავლება ადგილობრივ კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის ასახული. თუკი ამ საგნებისათვის სტანდარტები არ შემუშავდება, ამ გარემოებამ მომავალში შესაძლოა რეგიონებში

⁷⁰ ჯერჯერობით სტანდარტები შემდეგი საგნებისათვის იქნა შემუშავებული: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; საზოგადოებრივი მეცნიერებები; უცხოური ენები; ფიზიკულტურა; მუსიკა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/შრომითი სწავლება.

სწავლის პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს, რადგან მასწავლებლები სათანადოდ ვერ განვითარდებიან პროფესიულად ტრენინგებისა და სხვა აუცილებელი დახმარების ნაკლებობის გამო. ამ საგნების სწავლების დონეც არ გაიზრდება, რაც საბოლოო ჯამში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს უმცირესობათა ენების შენარჩუნებას. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება ნაკლებად სავარაუდოა, რეგიონებში მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა ნაკლებობიდან გამომდინარე აუცილებელია არსებული მასწავლებლების ჩართვა რეფორმების პროცესში. გარდა ამისა დღეისათვის არ არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც სტუდენტები დაეუფლებიან მასწავლებლის პროფესიას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე. რაც ამცირებს მომავალი მასწავლებლების შესაძლებლობას დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნები. აღნიშნული საკითხი III.2 ქვეთავში ვრცლად არის განხილული.

III. უმაღლესი განათლება

1. ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაქართულენოვანი სკოლებიდან ძალზე მცირე რაოდენობის სტუდენტი ირიცხება, განსაკუთრებით საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შემდეგ.

ერთიანი ეროვნული გამოცდები (ეეგ) საქართველოს განათლების სისტემის სავალდებულო კომპონენტად იქცა 2004 წელს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ (89-ე მუხლი).⁷¹ ეს გამოცდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისას კორუფციის აღმოფხვრას ემსახურებოდა, რაც საქართველოში ადრე საკმაოდ გავრცელებული იყო. თუმცა,

დამატებითი ინფორმაცია იხ. <http://www.tpsc.ge/index.php?page=1-7-2&hl=ge> .

ეეგ-ს მოთხოვნები ეროვნული უმცირესობებისადამა დისკრიმინაციული აღმოჩნდა, რომელთაც ქართული ენის დაბალ დონეზე ცოდნის გამო უნივერსიტეტებში მოხვედრის თანაბარი შესაძლებლობა არ ქონდათ.

1.1 2005 წლის ეეგ

მისაღები გამოცდები აბიტურიენტებმა ახალი სისტემის თანახმად პირველად 2005 წელს ჩააბარეს, რომელიც ცალკეული არჩევითი საგნებისა და შემდეგი სამი სავალდებულო გამოცდისაგან შედგებოდა: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარების ტესტი და უცხოური ენების. ეროვნულ უმცირესობებს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ქართველ აბიტურიენტებთან შედარებით უფრო გამარტივებული ვერსიის ჩაბარების უფლება მიეცათ, რის შედეგადაც ისინი აკრედიტებული უნივერსიტეტების რუსულენოვან სექტორებზე ირიცხებოდნენ. თუმცა, აბიტურიენტები, რომელთაც ქართულენოვან სექტორზე სურდათ სწავლა, ვალდებულნი იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის უფრო რთული გამოცდის ჩაებარებინათ. რაც ასევე ეხებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში სწავლის მსურველებს.⁷² გარდა ამისა, იმ აბიტურიენტებს, რომლებიც გამარტივებულ ტესტს აბარებდნენ, ეეგ-ს უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისას რუსულის არჩევის უფლება არ ქონდათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ 2005 ეეგ-ს შედეგები იმედის მომცემი არ იყო. ამ წელს მარნეულის რაიონის 1,012⁷³ აზერბაიჯანულენოვანი სკოლადაამთავრებულიდან მხოლოდ ჩვიდმეტი ჩაირიცხა

⁷¹ სრული ტექსტი იხ. http://www.mes.gov.ge/upload/text/geo/1196078343_legislation.pdf.

⁷² საერთაშორისი კრიზისის ჯგუფი, *საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები [Georgia's Armenian and Azeri Minorities]*, გვ. 28.

⁷³ ეს რიცხვი ასახავს იმ მოსწავლეების რაოდენობას, რომელთაც იმ წელს აზერბაიჯანულენოვანი სკოლები დაამთავრეს და არა ეეგ-ში მონაწილე აბიტურიენტთა რიცხვს.

უმალეს სასწავლებლებში.⁷⁴ ხოლო ჯავახეთიდან დაახლოებით 80-მა აბიტურიენტმა შეიტანა განაცხადი, რომელთაგანაც გამოცდები წარმატებით ახალქალაქის რაიონიდან მხოლოდ ორმა და ნინოწმინდის რაიონიდან ერთმა ჩააბარეს. ეს გარემოება ეროვნული უმცირესობებისათვის საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებს, რაც თავის მხრივ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს აფერხებს.

1.2 2006 წლის ევგ

გაითვალისწინა რა ეროვნული უმცირესობების მიერ 2005 წლის ევგ-ში მიღებული დაბალი ქულები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაგრძო მათი რეფორმირება, რის შედეგადაც მომდევნო წლისათვის გამოცდების ჩატარების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ქართულენოვან და არაქართულენოვან აბიტურიენტებს შორის ევგ-ის შედეგებში ამგვარი დიდი სხვაობის შემცირების მიზნით 2006 წელს აბიტურიენტებს ზოგადი უნარების ტესტის, ასევე უცხოური ენასა და ყველა არჩევით საგანში გამოცდის რუსულ ენაზე ჩაბარების უფლება მიენიჭათ.⁷⁵ გარდა ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარების

⁷⁴ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები [Georgia's Armenian and Azeri Minorities]*, გვ. 28.

⁷⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ №127 ბრძანების (2005 წლის 28 მარტი) მე-5 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების ენისა) ყველა აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, აბიტურიენტის არჩევით ერთ-ერთი უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) და ზოგადი უნარები.“ იმავე ბრძანების მე-5 მუხლის მესამე პუნქტი ადგენს, რომ „კონკრეტული ფაკულტეტის აბიტურიენტათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აირჩიოს დამატებითი გამოცდა/გამოცდები შემდეგი ჩამონათვალიდან: ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია).“ მაშინ როცა იმავე ბრძანების მე-5 მუხლის მეშვიდე მუხლის თანახმად, „უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად (მიუხედავად სწავლების ენისა) აბიტურიენტები უფლებამოსილი არიან გამოცდა ზოგად უნარებში, მათემატიკაში, საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ჩააბარონ ქართულ ან რუსულ ენაზე, რის შესახებაც მათ უნდა მიუთითონ საგამოცდო განაცხადში.“

წესიც შეიცვალა, რის შედეგადაც ყველა აბიტურიენტს უფრო მეტად გამარტივებული ტესტის ჩაბარება შეეძლოდ მიუხედავად იმისა თუ რომელ სექტორზე სურდათ მოხდევრა. ამ უკანასკნელმა ცვლილებამ არაქართული წარმოშობის აბიტურიენტებს ფართო არჩევანის საშუალებას მისცა, რომელთაც უკვე ნებიესმიერ უმაღლეს სასწავლებელში საბუთების შეტანისას ქართულის გამარტივებული ტესტი უნდა ეწერათ განსხვავებით წინა წლებისა, როდესაც გამარტივებული გამოცდა მხოლოდ მათ ფუფუნებას წარმოადგენდა, ვინც რუსულენოვან სექტორებზე აპირებდნენ სწავლას.

გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების მინისტროს ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის 100 აბიტურიენტს დედაქალაქში განლაგებულ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ორგანიზებული ეეგ-ს მოსამზადებელი უფასო კურსების გავლის შესაძლობა აქვს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ეუთოს ეუუკის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო იმავე წელს, როდესაც სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ენის სახლები დაარსდა.⁷⁶ რის შედეგადაც, სომხური წარმოშობის 20-მა და აზერბაიჯანული წარმოშობის 30-მა აბიტურიენტმა ეეგ-ს მოსამზადებელი კურსები ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა; ხოლო დამატებით 18 სომხური წარმოშობისა და 32 აზერბაიჯანული წარმოშობის აბიტურიენტი ჩაირიცხა ანალოგიურ კურსებზე თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ყველა მონაწილე სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან არის.⁷⁷ მაშინ როცა კახეთის რეგიონი საერთოდ არ არის

⁷⁶ „ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების პროგრამა“ ითვალისწინებს რვა კატეგორიის (თავდაპირველად იყო მხოლოდ ხუთი კატეგორია) აბიტურიენტების უფასოდ ჩარიცხვას ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებელ კურსებზე და მათთვის ყოველთვიური სტიპენდიის მინიჭებას. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებიც, რომლებიც ცხოვრობენ და სწავლობენ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან საჯარო სკოლებში. თავდაპირველად პროგრამაში ყოველწლიურად 200 აბიტურიენტი იღებდა მონაწილეობას, ხოლო 2006 წლიდან მათი რიცხვი 300-მდე გაიზარდა, რომელთაგანაც არის ადგილი ეროვნული უმცირესობებისთვის არის განკუთვნილი.

⁷⁷ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1251, 2007 წლის 10 დეკემბერი, იხ.

წარმოდგენილი მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ითვალისწინებს კახეთის რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებას მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხვისა.

მისაღები გამოცდების მოთხოვნების გამარტივებამ, მოსამზადებელი კურსების შემოღებამ და ქართულ გარემოში დამატებითი ენის კურსების ორგანიზებამ შედეგი გამოიღო და 2006 წელს ქვემო ქართლიდან 25-მა აზერბაიჯანელმა აბიტურიენტმა შეძლო ეეგ-ს ჩაბარება, ხოლო ჯავახეთიდან 31 აბიტურიენტი აღმოჩნდა წარმატებული. კერძოდ კი, იმ წელს ჯავახეთიდან მხოლოდ სამი სტუდენტი ჩაიჭრა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს ამგვარი გაუმჯობესებული შედეგები მეტწილად ეეგ-ს ჩაბარების წესის გამარტივებამ განაპირობა, აბიტურიენტთა წარმატებაში ასევე მოსამზადებელმა კურსებმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. აბიტურიენტებისათვის აღნიშნული ქართული ენის კურსები პირველად 2006 წელს გაიხსნა, წინა წლის ეეგ-ში არაქართულენოვან კანდიდატთა დაბალი შედეგების საპასუხობ. აბიტურიენტების უმრავლესობას, რომლებმაც 2006 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ჩაბარება შეძლეს, ენის სახლებში ორგანიზებული კურსები ქონდათ გავლილი.

1.3 2007 წლის ეეგ

2007 წლისათვის დამატებითი ცვლილებები მისაღები გამოცდების წესში არ შესულა, ხოლო ეროვნული უმცირესობებიდან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა რიცხვი შემცირდა. ქვემო ქართლიდან მხოლოდ შვიდმა აბიტურიენტმა⁷⁸ შეძლო ეეგ-ს ჩაბარება, მაშინ როცა ჯავახეთის 36 აბიტურიენტიდან სულ სამი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1199879670_brzaneba%201251.PDF.

⁷⁸ იმ წელს რეგიონის არაქართულენოვანი სკოლებიდან ეეგ-ში მონაწილეობის მიმღებ აბიტურიენტთა

წარუმატებელ კანდიდატთაგან ყველა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში როდი ჩაიჭრა. ორივე რეგიონის აბიტურიენტთა ნაწილმა სხვა გამოცდების ჩაბარებაც ვერ შეძლო. გარდა ამისა, 2007 წელს ევგ-ში გაცილებით ნაკლებმა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული გარემოება აკრედიტაციის პროცესის შედეგად თსუ-ს ახალქალაქისა და მარნეულის ფილიალების დახურვით შეიძლება აიხსნას (იხ. ქვემოთ), რამაც ეროვნულ უმცირესობებს შორის საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების მსურველთა რიცხვის შემცირება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით ჯავახეთში მცხოვრებ სომხური წარმოშობის აბიტურიენტებს ეხება, ვინაიდან რეგიონი 300 კმ-ით არის თბილისიდან დაშორებული, რაც პოტენციური სტუდენტების არჩევანს საგრძნობლად ზღუდავს.

2007 წლის ოქტომბერში ეუთოს ეუუკ-მა ჯავახეთის ენის სახლებზე ფინანსური პასუხისმგებლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადააბარა, სადაც ქართული ენის სწავლება იმავე წლის ნოემბერში გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ამ ენის სახლებისათვის განკუთვნილი დაფინანსების შემცირების მიუხედავად, რამაც ახალქალაქის ენის სახლი გარკვეული დროის მანძილზე შენობის გარეშე დატოვა, დღესდღეობით ქართულის კურსები ენის სახლებში მაინც გრძელდება. 2008 წელს აღნიშნულ ენის სახლებში 682 ადამიანი იყო ჩარიცხული. გარდა ამისა, „ზრდასრულთა განათლების ცენტრები სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრომ 78, 000 ლარი გამოყო 2009 წელს დმანისისა და ბოლნისის რაიონებში ქართული ენის სასწავლო საპილოტე ცენტრების გასახსნელად. ასევე, 2009 წელს ნინოწმინდისა და ახალქალაქის ენის სახლების ფუნქციონირებაც გაგრძელდება.⁷⁹

რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა.

⁷⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

1.4 2008 წლის ევგ

გაითვალისწინა რა 2007 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში ეროვნული უმცირესობების მიერ მიღებული დაბალი ქულები, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ევგ-ში დამატებითი ცვლილებები შეიტანა. რის შედეგადაც, 2008 წელს ფსიგოლოგების რეკომენდაციის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული უმცირესობს ზოგადი უნარების ტესტის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარების უფლება მისცა.⁸⁰ აღნიშნული ცვლილება ეროვნული უმცირესობებისათვის მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში ხელის შეწყობას ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის დიდ ნაწილს ეროვნული უმცირესობები შეადგენდნენ, ეს მათი წარმატების მაჩვენებელი იმდენად არ იყო, რამდენადაც იმ გარემოებით იქნა გამოწვეული, რომ იმ წელს ძალიან ცოტა ქართველი აბიტურიენტი იღებდა მონაწილეობას ევგ-ში. რაც განპირობებული იყო 2008 წელს სამინისტროს მიერ გატარებული კიდევ ერთი რეფორმით. კერძოდ, საქართველოში ზოგად საგანამანთლებლო დაწესებულებებში სწავლა ერთი წლით გაგრძელდა და, შედეგად, სასწავლო პროგრამა თორმეტწლიანი გახდა. აქედან გამომდინარე 2007-2008 სასწავლო წელს ქართულენოვან სკოლები მეთერთმეტეკლასელებმა არ დაამთავრეს. შესაბამისად, 2008 წლის ევგ-ში მონაწილეობას იღებდნენ ეროვნული უმცირესობები და ასევე მცირე ნაწილი იმ ეთნიკური ქართველი აბიტურიენტებისა, რომელთაც წინა წელს ვერ შეძლეს გამოცდების წარმატებით ჩაბარება. გამომდინარე იქიდან, რომ 2009 წელს ზემოთხსენებული რეფორმა არაქართულენოვან სკოლებსაც შეეხება, მეთერთმეტეკლასელებს დამატებითი წელი ექნებათ ევგ-ში მონაწილეობის

⁸⁰ ერთიანი ეროვნული გამოცდების ლოჯისტიკის ჯგუფის ხელმძღვანელის, მერაბ წიფურიას, განცხადებით, ზოგადი უნარების ტესტი ადგენს სტუდენტის ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარს, რაც ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე გამოიხატება. ნინო ხელაია, *ერთიანი ეროვნული გამოცდები: ცვლილებები* [National Unified Examinations: ch ch ch ch ch changes], Georgia Today, 30 მაისი, 2008.

მიღებამდე ქართული ენის ცოდნის გასაღრმავებლად.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს უფრო მეტი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, წინა წლებთან შედარებით ვითარება მნიშვნელოვნად მაინც არ გაუმჯობესებულა. არსებული მონაცემებით, ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან 26-მა სომხური წარმოშობის აბიტურიენტმა გაიარა, რომლებიც 2008-2009 სასწავლო წლისათვის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხნენ. აღნიშნული აბიტურიენტები გამოცდებამდე ახალქალაქში ორგანიზებულ ქართული ენის მოსამზადებელ კურსებს ესწრებოდნენ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, სომხური და აზერბაიჯანული წარმომავლობის აბიტურიენტების წარუმატებლობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში შეიძლება მათში ზოგადად განათლების დაბალი დონითა და ასევე ქართული ენის არ ცოდნით აიხსნას და არა ეეგ-ს დისკრიმინაციული და ეროვნული უმცირესობებისათვის არახელსაყრელი მოთხოვნებით. ზემოთხსენებული მაგალითები გვიჩვენებს, რომ სამინისტრომ და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ცვლილებები ეეგ-ს ჩატარების წესში არაერთხელ შეიტანეს ეროვნული უმცირესობებისათვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად და ეროვნულ უმცირესობების უფლებების დამცველთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ის, რომ ქართული ენის პედაგოგებს შესაბამისი გადამზადება არ გაუვლიათ, რათა მათ მოსწავლეები სათანადოდ მოამზადონ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, რაც ეროვნულ უმცირესობებს დანარჩენ აბიტურიენტებთან შედარებით თანაბარ პირობებში არ აყენებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მეტი სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის ახალგაზრდა გაემურა საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად, რომელთა უმრავლესობაც სწავლის დამთავრების შემდეგ საქართველოში სამსახურის საძებნელად აღარ ბრუნდება.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროში საკანონმდებლო რეფორმები ტარდება, აუცილებელია სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების მოძიება, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა შეძლონ ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. გარდა ამისა, პედაგოგებსა და მოსწავლეებს ქართული ენის შესასწავლად უფრო მეტი დრო უნდა ჰქონდეთ. მანამდე კი დროებითი გამოსავლის სახით შესაძლებელია ევგ-ის წესში კვლავ ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც ეროვნული უმცირესობები ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის უფრო გამარტივებულ ვერსიას ჩააბარებენ იმ პირობით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტები პირველი სასწავლო წლის მანძილზე ქართულის ინტენსიურ კურსს გაივლიან. თავიანთი სპეციალობებით სწავლის გაგრძელებას კი სტუდენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ წლის ბოლოს ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ.

კვოტების სისტემის შემოღება არის კიდევ ერთი გამოსავალი იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ეროვნული უმცირესობების უფლება უმაღლესი განათლების მიღებისა. ამ მოდელს უკვე რა ხანია მხარს უჭერენ განათლების სფეროს ექსპერტები და იგი საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა განათლების დარგში დისკრიმინაციის აღმოფხვრაში, რასაც მოწმობს ინდოეთისა და სამხრეთ აფრიკის მაგალითები.⁸¹

⁸¹ იხ. კლაუს დაიტერ ბაიტერი, *განათლების უფლების დაცვა საერთაშორისო სამართალში* [The Protection of the Right to Education in International Law], (Martinus Nijhoff, 2005), გვ. 408. ასევე იხ.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში კვოტების სისტემამ შესაძლოა პოზიტიური დისკრიმინაცია გამოიწვიოს, ეროვნული უმცირესობების ამგვარი წახალისება უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებისათვის უმაღლესი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, რაც ამ გარდამავალ ეტაპზე დროებით მაგრამ ეფექტიან გამოსავალს წარმოადგენს.

ეროვნული უმცირესობისა და ქართველი ახალგაზრდობისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009 წელს ორი დამატებითი ენის სახლის გახსნას გეგმავს ქვემო ქართლში⁸², ხოლო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახალ პროგრამას ამუშავებს, რომლის ფარგლებშიც უახლოეს მომავალში ხუთი ახალი მოსამზადებელი ცენტრი გაიხსნება ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.⁸³ გარდა ამისა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2008 წლის დეკემბერში ენისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწესების შემდეგ ეროვნულ უმცირესობებს გაცილებით უფრო უჭირთ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრა. აღიარა რა, რომ ეროვნული უმცირესობებს ევგ-ს წარმატებით ჩაბარება ძალიან უჭირთ, რასაც უკანასკნელი წლებიც მოწმობს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ეროვნული უმცირესობებისათვის „სპეციალური პრივილეგიები“ და „სპეციალური გრანტები“ დაწესდება.⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის ნათელი თუ რა იგულისხმება ამ წამოწყებაში, საგანმანათლებლო რეფორმის ამ კონკრეტული ასპექტის ეროვნულ

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეკომენდაციები, *რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული თემატური საკითხების დეტალური შესწავლა: პრივილეგიებისა და დამატებითი უფლებების მინიჭების კონცეფცია და პრაქტიკაში გამოყენება* [Recommendations of the UN Economic and Social Council, “Comprehensive Examination of Thematic Issues Relating to Racial Discrimination: The Concept and Practice of Affirmative Action”], E/CN.4/Sub.2/2000/11, 19 ივნისი 2000 წ.

⁸² „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა“, 2008 წ., გვ. 14.

⁸³ იქვე, გვ. 17.

⁸⁴ „საკაშვილი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ინტეგრაციაზე საუბრობს“, სივილ ჯორჯია, თბილისი, 22 დეკემბერი, 2008 წ. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=20170>.

უმცირესობებზე უარყოფითი გავლენის გაცნობიერება უკვე მისასაღმებელია.⁸⁵

იმისათვის რომ საქართველო სრულად შეესაბამებოდეს ენობრივი და განათლების პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებს, როგორცაა ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ევროპული კონვენცია, რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტია და ეროვნული უმცირესობების განათლების შესახებ ეუთოს ჰააგის რეკომენდაციები, უმცირესობის ენებზე არა მარტო ეგ-ის ჩაბარება, არამედ უმაღლესი განათლების მიღებაც უნდა იყოს შესაძლებელი.⁸⁶ ჰააგის რეკომენდაციების მიხედვით, იმ შემთხვევებში, ეროვნულ უმცირესობებს განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება უნდა მიენიჭოთ, როცა ამის რაოდენობრივი ან სხვა საფუძველი არსებობს. თუმცა, მსგავსი აუცილებლობის დასაბუთება როგორც წესი არც ისე მარტივია და ხშირად ამგვარი პოლიტიკა არ ტარდება ფინანსური რესურსების არქონის გამო ან იმ მიზეზით, რომ ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა ინტეგრაციის პროცესს შეუშალოს ხელი. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა ქართულია.⁸⁷ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მართალია ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების სხვა ენების გამოყენებასაც, თუმცა ამგვარი დაწესებულებების რიცხვი უკანასკნელ წლებში კლებულობს (იხილეთ ქვემოთ).

⁸⁵ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის პრივილეგიების მინიჭების მაგალითად შესაძლოა ჩავთვალოდ ის ფაქტი, რომ ეროვნული უმცირესობის 7 წამომადგენელი გაემგზავრა საქართველოს განვითარებისა და რეფორმების ფონდის დაფინანსებით, 2007 წელს ბიზნეს-ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე უნგრეთსა და ა.შ.შ-ში. კონკურსის საშუალებით შეირჩა 7 სტუდენტი 2008 წელსაც.

⁸⁶ იხ. ეროვნული უმცირესობების განათლების შესახებ ეუთოს ჰააგის რეკომენდაციები [OSCE Hague Recommendations Regarding the Education Rights of National Minorities], მე-17 მუხლი.

⁸⁷ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზური. (სხვა ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დამკვეთულია, თუ ეს გათვალისწინებული საერთაშორისო ხელსაწყოებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების დამინისტროსთან).“

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და მათი საჯარო სტრუქტურებში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ ქ. ქუთაისში ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დააარსა. სკოლა 2006 წლის იანვარში გაიხსნა და მისი ექსტენიანი სასწავლო პროგრამა ქართული ენისა (პირველი სამი თვის მანძილზე) და სახელმწიფო ადმინისტრირების კურსებს ითვალისწინებს. უკანასკნელი მონაცემებით, სკოლა 133-მა აზერბაიჯანული წარმოშობის და 124-მა სომხური წარმოშობის ახალგაზრდამ დაამთავრა.⁸⁸ გარდა ამისა, ჯავახეთში სკოლის კიდევ ორი ფილიალის გახსნა იგეგმება, თუმცა, კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით არ გადადგმულა.⁸⁹ ასევე აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის დაპირების მიუხედავად, სკოლის დამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო საჯარო სექტორში დასაქმება.⁹⁰ ეს უკანასკნელი გარემოება ეროვნულ უმცირესობებს შორის ქართული ენის შესწავლის ეკონომიკურ მოტივაციას ამცირებს.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ შეთავაზებული ექსტენიანი სასწავლო პროგრამაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სამინისტრო და ზოგადად ცენტრალური ხელისუფლება ეროვნული უმცირესობებისაგან ქართული ენისა და სხვა უნარების შესაძენად ძალზე მცირე ვადებს ითვალისწინებს. ექვსი თვის განმავლობაში ქართული ენისა და სახელმწიფო ადმინისტრირების სათანადო დონეზე შესწავლა თითქმის შეუძლებელია. ახალქალაქის რაიონის გამგებლის განცხადებით, სკოლა დამთავრებულებს,

⁸⁸ საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

⁸⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №680.

⁹⁰ იხ. პრეზიდენტ სააკაშვილი მისასალმებელი სიტყვა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის გახსნაზე, 9 დეკემბერი, 2005 წ., <http://www.president.gov.ge/?l=E&m=0&sm=3&st=90&id=1098>.

რომლებიც რაიონის მმართველობის ორგანოებში დასაქმდნენ, საჯარო სამსახურში სამუშაოდ საკმარისი უნარები ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ, თუმცა ქართულ ენას ისინი სათანადო დონეზე ფლობენ.⁹¹ საჯარო სექტორში დასაქმებისათვის კვალიფიციური კანდიდატების მოსამზადებლად აუცილებელია ქართული ენისა და სახელმწიფო ადმინისტრირების მინიმუმ ორწლიანი ინტენსიური პროგრამის ორგანიზება. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლადამთავრებულები სრული უმაღლესი განათლების მქონე თანამოქალაქეებთან შედარებით კონკურენტუნარიანი არ არიან, თუმცა მათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრის გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ. გარდა ამისა, საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში შემუშავდა “პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციის პროგრამა”, რომლის ფარგლებშიც კაზრეთის და ახალციხის პროფესიული სასწავლებლების აღდგენა მოხდა. იგივე ინიციატივა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების სხვა პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაციაც.⁹²

ასევე აღსანიშნავია, რომ ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში, რომელიც განათლების რეფორმის ფარგლებში ხორციელდება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდმა ნაწილმა აკრედიტაცია ვერ გაიარა; მაშინ როცა უნივერსიტეტების ფილიალები ან დაიხურა ან დამოუკიდებელ უმაღლეს სასწავლებლებად გადაკეთდა.⁹³ უკანასკნელ წლებში უმაღლესი საგანმანათლებლო

⁹¹ ინტერვიუ ახალქალაქის რაიონის გამგებელთან, ნაირი ირიციანთან, 19 მაისი, 2009 წ.

⁹² საქართველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ირინე ქურდაძეს, გამოსვლა კონფერენციაზე „სამოქალაქო ინტეგრაცია და ეროვნული უმცირესობები საქართველოში“ (გუდაური, 19-21 ივნისი, 2009 წ.).

⁹³ რეფორმებამდე საქართველოში ფუნქციონირება 117 აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 2007-2008 აკადემიური წლისათვის. თუმცა, 2006 წელს მხოლოდ 64-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიტანა განაცხადი ინსტიტუციონალური აკრედიტაციის მისაღებად, რომელთაგანაც მხოლოდ 32-მა მიიღო აკრედიტაცია 2007-2008 აკადემიური წლიდან ხუთი წლის ვადით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, რომლებმაც 2006 წელს მიიღეს აკრედიტაცია იხ.

http://www.mes.gov.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=10&id=123. 2006 წლამდე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნუსხა იხ.

დაწესებულებების რიცხვი დაახლოებით 50%-ით შემცირდა.⁹⁴ მარნეულის რაიონის ვერც ერთმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დააკმაყოფილა აკრედიტაციის მოთხოვნები, რის შედეგადაც ისინი დახურეს. კერძოდ, ასეთი ბედი ეწია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალმაც ასევე ვერ გაიარა აკრედიტაცია და იგი „ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯად“ გადაკეთდა, რაც მას ხარისხისა და პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების უფლებას ანიჭებს.⁹⁵ ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის განცხადებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია აუცილებელი იყო. ახალქალაქის ფილიალი არ შეესაბამებოდა ეროვნულ სტანდარტებს და მისი ამჟამინდელი სტატუსი რეალურად ასახავს კოლეჯში სწავლების დონესა და არსებულ რესურსებს. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდებს კოლეჯი ნაკლებად იზიდავს მის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის ნაკლებად პრესტიჟულობის გამო. არსებული მონაცემებით, ამჟამად კოლეჯში სტუდენტების უმრავლესობას ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ, რომელთაც ვერ შეძლეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრა.⁹⁶ უკანასკნელი გარემოება უარყოფითად მოქმედებს მთავრობის სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკაზე, ვინაიდან თავად ეს დაწესებულება ქართველ და სომეხ სტუდენტებს შორის ტოლერანტობისა და ბილიგვალიზმის წახალისების მიზნით შეიქმნა. ევგ-ის შემოღების შემდეგ თსუ-ს ახალქალაქის ფილიალში სომხური წარმოშობის

http://www.mes.gov.ge/index.php?module=multi&page=details&multi_id=10&id=122.

⁹⁴ ტემპუს ჯორჯიას მონაცემები. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.

<http://ec.europa.eu/education/programmes/tempus/countries/impact/georgia.pdf>.

⁹⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესრელიზი, „დასრულდა სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფილიალების გარდაქმნა“, 6 დეკემბერი, 2007 წ., იხ. http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1197625843_filialebi-release-6.12.07.pdf.

⁹⁶ ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესთან, ეუთოს ეუუკ-ის ოფისი, თბილისი, 2008 წლის დეკემბერი.

სტუდენტების რიცხვი თანდათანობით მცირდება, რასაც მოწმობს მაგალითად 2006 წელს ფილიალში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაც. კერძოდ კი, იმ წელს 450 სტუდენტმა დაამთავრა ფილიალი, მათგან დაახლოებით 60% სომხური წარმოშობის იყო; მაშინ როცა მომდევნო წლისათვის სასწავლებელში მხოლოდ სამი სტუდენტი ჩაირიცხა.⁹⁷

2007 წელს მარნეულსა და ახალქალაქში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვამ ეროვნული უმცირესობების უკამყოფილება გამოიწვია. მას შემდეგ სომხური და აზერბაიჯანული წარმოშობის სულ უფრო მცირე რაოდენობით აბიტურიენტებს შეაქვთ საბუთები ეეგ-ში მონაწილეობის მისაღებად, ვინაიდან მათ ძირითად ნაწილს სხვა ქალაქებში ცხოვრებისა და სწავლის შესაძლებლობა არ გააჩნია. რის შედეგადაც აბიტურიენტების სულ უფრო მცირე რიცხვი გამოთქვამს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის სურვილს, რაც ასევე ამცირებს გამოცდებში მონაწილეობის მიმღები ახალგაზრდების ოდენობასაც. შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების მსურველ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის აბიტურიენტების უმრავლესობას მეტწილად რუსეთის ფედერაციის, სომხეთის ან აზერბაიჯანის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეაქვს საბუთები. არსებული მონაცემებით, მათი რიცხვი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შემდეგ განუწყვეტლივ იზრდება. ამ ტენდენციის გაღრმავებას ასევე სომხეთის მთავრობის მიერ ჯავახეთიდან სომხეთში სასწავლებლად გამგზავრების მსურველი სომხური წარმოშობის აბიტურიენტებისათვის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერაც ხელს უწყობს. კერძოდ, ამ ინიციატივის ფარგლებში 2008 წელს 70 სტუდენტს მიენიჭა სომხეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უფასოდ სწავლის უფლება. დაუზუსტებელი მონაცემებით, სომხეთში სასწავლებლად გამგზავრებული სომხური წარმოშობის სტუდენტების 80% სწავლის დასრულების

⁹⁷ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები* [Georgia's Armenian and Azeri Minorities], გვ. 28.

შემდეგ საქართველოში არ ბრუნდება, რაც იწვევს ინტელექტუალური რესურსების ქვეყნიდან გადინებას. უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ აღნიშნულ სტუდენტებს უჭირთ საქართველოში დასაქმება, რაც კვლავ სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონით აიხსნება.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლამდე საქართველოს ყოველ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რუსულენოვანი სექტორი ფუნქციონირებდა, რომლებზეც მოხვედრა ეროვნულ უმცირესობებს შედარებით უადვილდებოდათ. რუსულენოვანი სექტორების დახურვის გადაწყვეტილება მათზე მოთხოვნის სიმცირის გამო იქნა მიღებული. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ გარემოებას რუსეთის საქართველოზე გავლენისა და, კერძოდ, ქართულ ბაზარზე რუსული ენის ცოდნაზე მოთხოვნის შემცირებით ხსნიან. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით ენობრივი პრიორიტეტების ცვლა 2006 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან ვაჭრობაზე ემბარგოს დადებითაა განპირობებული, ვინაიდან ამ ტენდენციებს მეტწილად ბიზნეს ინტერესები განსაზღვრავს. გარდა ამისა, ვაჭრობის საკითხებსა და ასევე განათლების რეფორმაზე ევროპისა და შეერთებული შტატების გავლენის ზრდამ გამოიწვია ინგლისური ენის შესწავლის მსურველთა რიცხვის ზრდაც და შედეგად რუსულენოვან სექტორებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შემცირება.⁹⁸ თუმცა, რთულია იმის მტკიცება თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული არგუმენტი რეალობას. გარდა ამისა, რუსულენოვან სექტორებში დასაქმებული ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიზანმიმართულად იქნა მიღებული და არა მათზე მოთხოვნის შემცირების გამო.⁹⁹

⁹⁸ ანა ნემცოვა, *საქართველო იდეებისთვის დასავლეთს მიმართავს* [Georgia Turns to the West for Ideas], 54(42) *The Chronicle of Higher Education* (2008).

ეროვნული უმცირესობებისათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში ძალზე მნიშვნელოვანია არაქართულენოვანი სკოლებისათვის მასწავლებლების მომზადების საკითხი. კერძოდ, საქართველოში არ არსებობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ეროვნულ სასწავლო გეგმებში მითითებული საგნების მომავალი პედაგოგები სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე განათლების მიღებას შეძლებენ. ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის¹⁰⁰ უცხოური ენების ფაკულტეტზე ისწავლება აზერბაიჯანული, სომხური და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობები, რომლებზეც, უნივერსიტეტიდან მოპოვებული მონაცემების თანახმად, შესაბამისად აზერბაიჯანული წარმოშობის ჩვიდმეტი და სომხური წარმოშობის ცხრამეტი სტუდენტი სწავლობს. იმავე ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის 53 სტუდენტი ეუფლება უმაღლეს განათლებას (სულ 72 სტუდენტი). ეს ფაკულტეტი მსურველებს აღნიშნული ენების მასწავლებლის კვალიფიკაციას ანიჭებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ფაკულტეტის დამთავრებულებს მხოლოდ ჩამოთვლილი ენების სწავლების უფლება ენიჭებათ. მაშინ როცა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს ფაკულტეტები, რომლებზეც მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ უმცირესობის ენებზე დაეუფლონ მასწავლებლის პროფესიას ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული სხვა საგნების სპეციალობით. რაც ძალზე მნიშვნელოვანი დანაკლისია.

არაქართულენოვან სკოლებში დასაქმებულ პედაგოგებს, რომლებიც სხვადასხვა საგნების (მაგ.: მათემატიკა და სხვა მეცნიერებები) სწავლების ენად მაგალითად სომხურს ან აზერბაიჯანულს იყენებენ, საქართველოში კვალიფიკაციის მიღების

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ ეს ფაკულტეტი 2006 წლამდე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებდა. მას შემდეგ ეს ინსტიტუტი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახემწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა სხვა ექვს ინსტიტუტთან ერთად. დამატებითი ინფორმაცია იხ. http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=285&parent_sec=285.

შესაძლებლობა საერთოდ არ აქვთ. შესაბამისად, სტუდენტებს, რომელთაც სურთ მასწავლებლის პროფესიას დაეუფლონ და უმაღლესი განათლება მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ (მაგ. სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე), მხოლოდ ერთ-ერთი ჩამოთვლილი ენის შესწავლის შესაძლებლობა აქვთ, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში არც არის შესული და არჩევით საგნებად ისწავლება. მაშინ როცა სურვილის შემთხვევაშიც კი ეს სტუდენტები ვერ შეძლებენ მშობლიურ ენაზე რომელიმე სხვა სპეციალობით განათლების მიღებას, მაგ. მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, და სხვა. შესაბამისად, სომხური ან აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრების შემდეგ, მათ საშუალო სკოლებში სხვა საგნების სწავლების ბუნებრივია უფლება არ აქვთ, რა როლსაც ისინი არაქართულენოვან სკოლებში რეალურად ხშირად მაინც ასრულებენ. შექმნილი ვითარება მომავალ მასწავლებლებს უმაღლესი განათლების მისაღებად სხვა ქვეყნებში გამგზავრებისაკენ უბიძგებს, ხშირ შემთხვევაში სომხეთსა და აზერბაიჯანში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს გარემოება ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს საგრძნობლად აფერხებს, რომლის ხელშეწყობაც საქართველოს მთავრობის ვალდებულებაა.

ერთი მხრივ ის ფაქტი, რომ არაქართულენოვან სკოლებში დასაქმების მსურველებს არ აქვთ შესაძლებლობა შესაბამის ენებზე უმაღლესი განათლების მიღებისა ირიბად არღვევს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას. მეორე მხრივ კი მზარდი ტენდენცია იმისა, რომ ეროვნული უმცირესობები სულ უფრო ხშირად არჩევენ თავიანთი ეთნიკური წარმომავლობის ქვეყნებში გამგზავრებას უმაღლესი განათლების მისაღებად იწვევს ინტელექტუალური რესურსების გადინებას ქვეყნიდან, რაც ასევე რეგიონების ზოგად საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას ამცირებს. გარდა ამისა, იმ პედაგოგებს, რომლებიც უცხოეთში კვალიფიკაციის მოპოვების შემდეგ არაქართულენოვან სკოლებში დასაქმების იმედით ბრუნდებიან საქართველოში, განათლება მიღებული ექნებათ

უცხო ქვეყნების სასწავლო გეგმებისა და სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული უმცირესობების ეთნიკური წარმოშობის ქვეყნიდან დარიგებულ სახელმძღვანელოებში ასახული კონცეფციები და მოსაზრებები (იხ. ზემოთ), განსაკუთრებით ისტორიის წიგნებში, რომელთა ჩანაცვლებასაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს, იმავე ქვეყნებში განათლებამიღებული პედაგოგების მეშვეობით მოსწავლეებს მაინც გადაეცემა. ამ საკითხის გადასაჭრელად მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მთავრობამ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მასწავლებლის პროფესიის მოსაპოვებლად უმაღლესი განათლების მიღების მსურველებს შესაბამისი პირობები შეუქმნას. რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამ უკანასკნელი პრობლემის აღმოფხვრა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაზე. კერძოდ კი, ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის რეკომენდაციის თანახმად, ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელია რეგიონში პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების მეშვეობით, სადაც შესაბამის საგნებში მომზადებას მომავალი მასწავლებლები უმცირესობის ენებზე გაივლიან, თუმცა ანალოგიური მნიშვნელობა მიენიჭება ქართული ენის შესწავლას. შედეგად, ახალი კადრები იმავდროულად შეძლებენ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და ქართული ენის შესწავლასაც. გარდა ამისა, მათი უფლება განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისა სრულად დაცული იქნება. აღნიშნულ ინსტიტუტში როგორც ქართული ისე უმცირესობების ენების სპეციალისტების მომზადება იქნება შესაძლებელი, რაც თავის მხრივ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ბილინგვალიზმის კულტურის წახალისებასა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამგვარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობა რეგიონში ასევე ინტელექტუალური რესურსების ქვეყნიდან გადინებას შეუშლიდა ხელს და რეგიონში უმუშევრობის შემცირებასაც მოხმარდებოდა. უმაღლესი განათლების ორენოვანი მოდელის უფრო ვრცელი მიმოხილვა მაკედონიისა და რუმინეთის

მაგალითებზე ECMI-ის ადრინდელ სამუშაო მოხსენებაშია მოცემული.¹⁰¹

სომხეთის მთავრობა საქართველოში სომხური დიასპორის განათლების საკითხებში აქტიურად არის ჩართული. 2006 წელს სომხეთის მთავრობამ ქართულ მხარეს ჯავახეთში უმაღლესი განათლების, კერძოდ კი თსუ-ს ახალქალაქის ფილიალის საქმიანობის მხარდასაჭერად, ფინანსური დახმარების აღმოჩენა შესთავაზა ჯერ კიდევ ფილიალის დახურვამდე.¹⁰² აღნიშნული საკითხი ოფიციალურად საქართველოსა და სომხეთის განათლების სამინისტროების მიერ 2008 წლის ივნისში იქნა განხილული, კერძოდ, როდესაც დღის წესრიგში ქართულ-სომხური ერთობლივი უნივერსიტეტის დაარსების საკითხი იდგა.¹⁰³ ეს წინადადება სომხეთის განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა, რომელსაც მსგავსი საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილება ასევე გააჩნია, მაგალითად: ერევანში მოქმედი სომხურ-ამერიკული და სომხურ-ფრანგული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. თუმცა, აღნიშნული შემოთავაზება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უარყო იმ მიზეზებით, რომ ამგვარი საერთაშორისო უნივერსიტეტის არსებობას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და მის მართვასთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები შესაძლოა წარმოშობილიყო. ეს საკითხი მას შემდეგ არ განხილულა.¹⁰⁴ თუმცა, თუ მომავალში ამ შემოთავაზების გადახედვა მოხდება, სომხეთის მთავრობის დახმარება ფინანსური რესურსების სიმცირის პრობლემის მოგვარებას შეიძლება მოხმარდეს.

¹⁰¹ დენის დაფლონი, *ეთნიკური მრავალფეროვნების მართვა ჯავახეთში: მულტილინგვური უმაღლესი განათლების ორი ევროპული მოდელი* [Managing Ethnic Diversity in Javakheti: Two European Models of Multilingual Tertiary Education], ECMI-ის სამუშაო მოხსენება #25, 2006 წლის თებერვალი.

¹⁰² საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *საქართველოს სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობები* [Georgia's Armenian and Azeri Minorities], გვ. 29.

¹⁰³ ინფორმაცია მიღებულია თამარა თალინიანისგან, სომხეთის განათლების სამინისტროს დიასპორების დეპარტამენტი, 2009 წლის ივნისი.

¹⁰⁴ იქვე.

IV. დასკვნა

საქართველომ უკანასკნელ წლებში აშკარა გარდაქმნები და ცვლილებები განიცადა, ხოლო განათლების სფერო ერთ-ერთია იმ მრავალი სექტორებიდან, რომელშიც მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. განათლების სისტემის მოდერნიზებისა და მისი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს მთავრობამ ეროვნული აკრედიტაციის პროგრამა დაამტკიცა და განათლების სისტემაში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო. რეფორმის ოპტიმიზაციისა და დეცენტრალიზაციის კომპონენტები კი რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას ემსახურება, ისევე როგორც - სკოლების მართვის გაუმჯობესების ინიციატივა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების საფეხურებისათვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდის შემუშავება, ასევე უმაღლესი განათლების საფეხურზე ერთიანი ეროვნული გამოცდების დეწესება ქვეყანაში განათლების ზოგადი დონის ამაღლებისაკენ მიმართულ ძალზე მნიშვნელოვალ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საერთო ჯამში საქართველოს განათლების სისტემა დადებითად გარდაიქმნა და ამ მიმართულებით მისი რეფორმირება კვლავაც გრძელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნული მიღწევებისათვის უდავოდ შეეებას იმსახურებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების რეფორმა ჯერ კიდევ საწყის ფაზაშია, ხოლო ახალი სისტემის ცალკეული ასპექტები უარყოფით გავლენას ახდენს ეროვნულ უმცირესობებზე. დეცენტრალიზაციის პროცესის ფარგლებში რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრები დაარსდა, რომელთა საქმიანობაც დროთა განმავლობაში ალბათ უფრო ეფექტიანი გახდება. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე რესურსცენტრები კოორდინაციისა და კომუნიკაციის, ასევე სამიზნე ჯგუფებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ნაკლებობით გამოირჩევიან, რისი დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითიც ზემოთ იქნა მოყვანილი. უკანასკნელი

გარემოება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში განათლების რეფორმის მსვლელობას აფერხებს. საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებისათვის ასევე დამახასიათებელია სხვადასხვა უწყებების საქმიანობის კოორდინაციისა და ჰარმონიზაციის ნაკლებობა. აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მოუწიათ ქართული ენისა და ლიტერატურის მათთვის რთული გამოცდის ჩაბარება, მაშინ როცა არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებსაც კი არ ქონდათ გავლილი სათანადო გადამზადება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნები კანონმდებლობით დაწესდა, მაშინ როცა აბიტურიენტების გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად სათანადოდ მომზადებისათვის საკმარისი რესურსები და მოსამზადებელი კურსები უზრუნველყოფილი არ იყო. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა სრულად არ დანერგილა არაქართულენოვან სკოლებში, რომელთა მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს ახალი სახემძღვანელოები არ გააჩნია, რის შედეგადაც ამ გარდამავალ პერიოდში მოხვედრილი მოსწავლეები ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას ვერ ახერხებენ. განათლების სფეროში საკანონმდებლო რეფორმებსა და პოლიტიკას შორის სინქრონიზაციისა და ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის ნაკლებობას ემატება განათლების მინისტრების ხშირი ცვლა, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს რეფორმების პროცესის სტაბილურ და თანამიმდევრულ მსვლელობაზე. მხოლოდ 2007 წლიდან განათლებისა და მეცნიერების ოთხი მინისტრი ყავდა საქართველოს. 2007 წლის ნოემბერში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე მყოფი კახა ლომია მათ მიმინოშვილმა ჩაანაცვლა. მხოლოდ ორი თვის გასვლის შემდეგ კი ეს უკანასკნელი გია ნოდიაშვილმა შეცვალა, რომელიც თავის პოსტზე რჩებოდა 2008 წლის დეკემბრამდე, როდესაც ნიკა გვარამია დაინიშნა განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრად.

განათლების სფეროში ენის პოლიტიკასთან მიმართებაში სამინისტროს მთავარ მიზანს ქართული ენის სწავლების მეშვეობით სამოქალაქო ინტეგრაციის

ხელშეწყობა წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი უდავოდ ძალზე მნიშვნელოვანი და აბსოლუტურად გამართლებულია, თუკი პარალელურად უმცირესობის ენების შესანარჩუნებლად სათანადო ინიციატივებიც ხორციელდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკის ენის კომპონენტის ცალკეულმა ასპექტებმა ეროვნულ უმცირესობებზე, კერძოდ კი, მათთვის განათლების ზოგიერთი საფეხურის ხელმისაწვდომობაზე უარყოფითი გავლენა იქონია. რაც მაგალითად გამოიხატება ქართული ენის მაღალ დონეზე ცოდნის მოთხოვნითა და ამისათვის მცირე ვადების დაწესებით. აღნიშნულ პრობლემაზე მიუთითებს მასწავლებელთა გადამზადების პროგრამების სიმცირე და ეროვნული უმცირესობების წარუმატებლობა ზემოთხსენებულ ახლად დაწესებულ სხვადასხვა ტიპის გამოცდებში, მაგ.: ერთიან ეროვნულ გამოცდებსა და საჯარო სკოლების დირექტორობის კანდიდატების ტესტირებაში. სტუდენტებისაგან, მასწავლებლებისა და დირექტორობის კანდიდატებისაგან ქართული ენის ცოდნის გაღრმავების მოლოდინი უსაფუძვლო იქნება, თუკი ამისათვის აუცილებელი მოსამზადებელი პროგრამები არ იქნება ორგანიზებული. მსგავსი პროგრამები პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს ეროვნული უმცირესობებსა და განათლების რეფორმასთან მიმართებაში და მათ განხორციელებას ყოველი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს.

ასევე აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღიარა განათლების რეფორმის ზოგიერთი კომპონენტის უარყოფითი გავლენა ეროვნულ უმცირესობებზე და, შესაბამისად, არაერთხელ სცადა ვითარების გამოსწორება. რის მაგალითებსაც წარმოადგენს ევგ-ის ჩატარების წესში თითქმის ყოველწლიურად ცვლილებების შეტანა, სკოლის დირექტორობის კანდიდატთა ტესტირების მეორე ტურის გადადება, უახლოეს მომავალში დაგეგმილი მასწავლებელთა გადამზადების ინიციატივები და მრავალენოვანი განათლების პროგრამის შემუშავება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სამინისტრო თანდათანობით მაგრამ უდავოდ ახერხებს ეროვნული უმცირესობების განათლების რეფორმის პროცესში ჩართვასა და ცდილობს გაითვალისწინოს მიმდინარე პოლიტიკის ცალკეული ასპექტების

ეროვნულ უმცირესობებზე მოსალოდნელი გავლენა.

სამომავლოდ დაგეგმილი რეფორმებიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია მრავალენოვანი განათლების მოდელის დანერგვა. მსგავსი მოდელის გამოყენება საქართველოს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში უზრუნველყოფს იმავდროულად როგორც უმცირესობის ენების შენარჩუნებას ასევე ეროვნული უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ეფექტიან სამოქალაქო ინტეგრაციასაც სახელმწიფო ენის შესწავლის მეშვეობით. ქართული ენის შესწავლა ირიბად ქართული კულტურის გაცნობასა და მისადმი ტოლერანტობის გაღვივებას შეუწყობს ხელს, ასევე ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების მიღებისა და შემდგომში დასაქმების შესაძლებლობას ქმნის. აქედან გამომდინარე ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მთავრობა განაგრძობს მრავალენოვანი განათლების მოდელის დანერგვას.

უმაღლესი განათლებასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის მხარდაჭერილი ინიციატივა რეგიონში ქართულ-სომხური პედაგოგიური დაწესებულების შექმნის თაობაზე. მსგავსი ინსტიტუტის დაარსება შესაძლებელია აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონშიც, მაგ.: ქალაქ მარნეულში. მსგავსი დაწესებულებების არსებობა კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს. მაღალკვალიფიციური პედაგოგები ქართულ და სომხურ ენებს ასწავლიან მოსწავლეებს, ასევე ტოლერანტობის კულტურის გავრცელებასა და ეროვნული უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას ემსახურებიან.

ძალზე რთული მისია აქვთ მათ, ვისაც საქართველოს განათლების სისტემის წარმატებულად რეფორმირების პასუხისმგებლობა აკისრიათ. ხანგრძლივი და რთული პროცესია განათლების სექტორის არამართო მოდერნიზება, არამედ ქართული ენის სწავლების მეშვეობით ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის

უზრუნველყოფა. ენისა და განათლების პოლიტიკა საქართველოს საზოგადოებისათვის ძალზე მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით უფრო კონკრეტული და თანმიმდევრული სტრატეგია ჩამოაყალიბოს. ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა უმცირესობის ენების დაცვის მიზნით რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიის რატიფიკაცია, რაც ევროპის საბჭოსადმი საქართველოს ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს. გარდა ამისა, რეკომენდებულია ენის საკითხებზე შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობისა და ამ საკითხებზე მომუშავე დაწესებულების შექმნა, რათა დარეგულირდეს სამართლებრივი დეფინიცია და განხორციელდეს სახელმწიფო ენის გამოყენებისა და უმცირესობის ენების დაცვის ეფექტიანი პოლიტიკა. საქართველოს მთავრობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიღწევები უდავოა, თუმცა დასახული მიზნების მისაღწევად ჯერ კიდევ გრძელი გზა არის გასავლელი. დღეისათვის ჯავახეთის სკოლის მოსწავლეების დაახლოებით 7-დან 20%-მდე ქართულ ენას საკმაოდ თავისუფლად ფლობს,¹⁰⁵ რაც მიუთითებს როგორც მიმდინარე რეფორმების ნაკლოვანებებზე ასევე ამტკიცებს იმას, რომ მსგავსი რეფორმების შედეგების დასაანახად დიდი დრო არის საჭირო. გარდამავალი პერიოდის მიუხედავად, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს გატარებული საკანონმდებლო რეფორმების შესრულება ისე, რომ ამ პროცესმა ეროვნულ უმცირესობებზე უარყოფითი გავლენა არ იქონიოს.

¹⁰⁵ მონაცემები მიღებულია ECMI-ის მიერ ახალქალაქის არაქართულენოვანი სკოლების გამოკითხვის შედეგად, 2009 წლის იანვარი.